რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 14 იანვარი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. **ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.** საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 10 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 10

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა“-ზე
ხელის მოწერის პირობები

ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ.
ორი თვით — 9 მანეთი.
სამი თვით — 13 მან. 50 კაპ.
ექვსი თვით — 27 მანეთი
ერთი წლით — 50 მანეთი
ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“

ამხანაგებს და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერა ნუ დააყოვნებენ.

ვერის წითელ გვარდიელები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ამხანაგ წითელ გვარდიელის

დავით ივანეს ძე ტარიელაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ დღეს დილის 10 საათზე მიხაილოვის საავათმყოფოდან. დაკრძალვა მოხდება საბურთალოზე. ეკლესიის გალავანში.

მეოთხე რაიონის კოლექტივი რ. ს. დ. მ. პ. აუწყებს თფილისის ორგანიზაციის პარტიის წევრებს, რომ მიმდინარე წლის 9 იანვარს, ღამის 11 საათზე საბურთალოზე ვერაგულათ იქმნა მოკლული ჩვენი პარტიის წევრი, წითელ გვარდიელი

დავით ივანეს ძე ტარიელაშვილი

გამოასვენებენ კვირას დილის 10 საათზე მიხეილის საავათმყოფოდან.

(2—2)

ქართული კლუბი

კვირას, იანვრის 14-ს შესდგება

ბ. ქუჩიშვილის დილა.

მონაწილეობენ: დ. კასრაძე, ვ. რუხაძე, თაგუნა, დარია ახვლედიანი, ლეო ქიაჩელი, ობოლი მუშა, ვეფხო ფშაველა, ვ. საათაშვილი და სხვა.

ბილეთები იყიდება დღეს კანტორა „განათლებაში“, ხოლო კვირა დღით ქართულ კლუბში.

დასაწყისი 12 საათზე. გამგე **ვ. საათაშვილი.**

სახალხო სახლი

სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი წრე.

კვირას, 14 იანვარს, 1918 წ. წარმოდგენილი იქნება:

მელანიას ოინები

კომ. 4 მოქ. გაუპტმანისა, გად. კ. მესხისა.

მომქმედნი პირნი: ქ-ნი არჯევანიძე, ნინონი, რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ.ბ. ანაშვილი, გოცირიძე, გელიკურაშვილი, მეტრეველი, მამაჯანოვი, რომანიშვილი, ვერელი, ჭანკვეტაძე.

ადგილების ფასი 1 მ. 40 კ-დან 35 კ-დე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა 25 იანვარს. რეჟ. **კ. შათირიშვილი.**

(2—2) რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

განცხადება

ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო ამით აცხადებს ამავე კლუბის წევრთა საყურადღებოთ, რომ 21 იანვარს 1918 წელს შუადღის 12 საათზე კლუბის შენობაში დანიშნულია წევრთა

საზოგადო წლიური კრება.

კრების საგანია: განხილვა და დამტკიცება 1917 წლის ანგარიშისა, 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. არჩევნები: მამასახლისთა და მათ კანდიდატთა, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა, კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა და მიმდინარე საკითხები. (3—1)

თფილისის ქალაქის გამგეობის სავალდებულო დადგენილება

1) 1 თებერვლიდან პური მიეცემა მხოლოდ ბინის კომიტეტებს ვარდისფერ ბარათებით.

2) იანვრის განმავლობაში ბინის კომიტეტებს პური მიეცემათ რიგის გარეშე.

3) პურის სავაჭროები ვალდებულნი არიან ნაწილ-ნაწილად აწონილი პური მისცენ ბინის კომიტეტებს მათგან წარდგენილ ბარათების თანახმად.

4) პურის დუქნები და ფურნეები ვალდებული არიან პურის გაყიდვა დილის 6 საათ. დაიწყონ. ბინის კომიტეტებისათვის პური უნდა შემოინახონ მოთხოვნილების თანახმად.

5) ბინის კომიტეტები ვალდებულნი არიან იქონიონ თვითეულ ბინაში მცხოვრებ პირთა სია ბინის დამქირავებელთაგან ხელმოწერილი, ეს უკანასკნელები კი პასუხს აგებენ სიაში შეტანილ სიყალბეში და აგრეთვე თუ თავის დროზე არ გააგებინებენ ბინის კომიტეტს ამა თუ იმ პირის ბინიდან გადასვლა.

შენიშვნა: ამ სავალდებულო დადგენილებათა დამრღვეველნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი 1917 წ. 17 მარტის დროებითი მთავრობის რედაქციით გამოცემულ დებულების მე-29 მუხლის ძალით, რომლის თანახმად დამნაშავენი ისჯებიან მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ.

(2—1) **თფილისის ქალაქის გამგეობა.**

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი, ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

სოციალიზმის კარიკატურა

ბალშევიკების ლიდერები განაგრძობენ დეკრეტებით სოციალიზმის განხორციელებას და უდიდესი საზოგადოებრივი ცვლილება კარიკატურათ გადააქციეს. ანარქო-ბლანკისტები რუსეთის ობიექტიურსა და სუბიექტიურ პირობებს ანგარიშს არ უწევენ და ერთის დაკვრით ცდილობენ სოციალიზმის დამყარებას.

დღემდის ისინი ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისათვის იბრძოდენ და როცა ეს ხიშტების საშუალებით მოახერხეს პირდაპირ შეუდგენ სოციალისტური წყობილების „პრაქტიკულათ“ განხორციელებას.

ეხლა ისინი საქვეყნოთ აღიარებენ, რომ უკან ჩამორჩენილ ქვეყანაში—რუსეთში, საცა წარმოებისა და პირობები განუვითარებელია, საცა კულტურული მსვლელობა დაბალ საფეხურზე იმყოფება, შეიძლება სოციალიზმი დამყარდეს და პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადება. მართალია მარქსისტები ასეთ უტოპიას მუდამ უარყოფდენ და სასტიკათაც ებრძოდენ, მაგრამ დღეს ბალშევიკების მესვეურებმა საერთაშორისო პროლეტარიატის ისტორიულათ შემუშავებული იდეოლოგია და მეცნიერულათ მარქსის მიერ დასაბუთებული მსოფლ-მხედველობა ერთი მოქნევით „გაანადგურეს“ და ისინი ნეტარ ხსენებული ბაკუნინის რეცეპტებით ცდილობენ კაცობრიობის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ძირითად ცვლილების მოხდენას. ბაკუნინი თავისი „ბუნტარული“ ენერგიით მარქსა და მარქსიზმს „ინტერნაციონალში“ და ლიტერატურაში ებრძოდა და მის მატერიალისტურ შეხედულებას, საწარმოვო ძალთა განვითარებას, პროლეტარიატის სუბიექტიურათ დამწიფებას და ანარქისტულ შეხედულებას უპირდაპირდება. იგი გაბედულათ ამტკიცებდა, რომ ობიექტიური და სუბიექტიური პირობების დამწიფება ბურჟუაზიული შეხედულებაა და მარქსიც გაბატონებული კლასების იდეოლოგიაო. ბაკუნინისათვის წარმოების ურთიერთობის უაღრესათ განვითარება და პროლეტარიატის თვისებით და რაოდენობით გაძლიერება ცალიერი სიტყვები იყო და იგი მასსის სტიქიურ მოძრაობას ხალხის „ბუნტარულ“ გამოსვლების პირველ რიგში აყენებდა და სოციალიზმის მთავარ საბუთად მიაჩნდა, ამიტომაც იყო იგი სოციალიზმის განხორციელებას უწინარე ყოვლისა რუსეთში მოელოდა, შემდეგ ისპანია-იტალიაში და ბოლოს უკვე განვითარებულ ევროპის სახელმწიფოებში, ე. ი. ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში. ბალშევიკებმა ბაკუნინის თვალსაზრისი სისწორით შეითვისეს და ესენიც სოციალიზმის დამყარებას რუსეთიდან იწყობენ. წაიკითხეთ ამიერ-კავკასიის ბალშევიკების ორგ. „ბრძოლის“ № 8 და დარწმუნდებით, რომ ეს არა მკითხე სოციალისტებს ანარქ. ბაკუნინის დიალექტიკა შეუთვისებიათ და მისი საკუთარი ენით ლაპარაკობენ. ისევე, როგორც ბაკუნინი ინგლისის სამრეწველო პროლეტარიატის რევოლიუციონერობას უარყოფენ და უკან ჩამორჩენილ სახელმწიფოს მუშათა კლასს მაღლა აყენებენ. საბუთათ ის გარემოება მოყავთ, რომ რუსეთის პროლეტარიატმა დღეს შესძლო დიქტატურის გამოცხადება და დაწინაურებულ ინგლისის პროლეტარიატი კი სოციალიზმისთვის არ არის მომზადებულიო, მიუხედავათ იმისა, რომ იქ ობიექტიური პირობები, კაპიტალისტური წარმოება უაღრესათ განვითარებულიაო.

„მეთვრამეტე ბრიუმერში“ კარლ მარქსი სწერს: ჰეგელმა ერთხელ სთქვა, რომ ყველა დიდი მსოფლიო-ისტორიული ამბები და პიროვნებები ორჯერ მეორდებიან. მხოლოდ მას დაავიწყდა მიემატებია: პირველათ ტრაგიკულ სახეს დებულობენ, ხოლო მეორეთ კი კომიკურს. ასევე ემართებათ რუსეთის ანარქო-ბლანკისტებს. ესენი ბლანკის ისტორიულ შეცდომას სავსებით იმეორებენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველნი უკანასკნელის კომიზმიდან წარმოუდგენელ სასაცილობაში ვარდებიან და მთელ სოციალიზმს კარიკატურის ხასიათს აძლევენ.

აბა, თუ არ კარიკატურისტები, ვინ განიზრახავს—ამ ჟამათ რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადებას და სოციალიზმის დამყარებას. პეტროგრადში ბალშევიკების გამარჯვება და ზოგიერთა ქალაქებში მასსის თავის მხარეზე გადაბირვა სრულიათაც არ ნიშნავს, რომ რუსეთში სოციალიზმისათვის ობიექტიური და სუბიექტიური პირობები მომზადებული იყოს. ყველა ქვეყნის მარქსისტები და სოციალ-დემოკრატები მუდამ და ყოველთვის ეკონომიკას უწევდენ ანგარიშს და ამაზე ამყარებდენ მთელ თავიანთ პოლიტიკურსა და სოციალურ ცვლილების მოხდენას. ვინც ამ ნიადაგს შორდება იგი ანარქისტია და სოციალური წყობილების განმტკიცების მაგიერ ანარქიასა და დეზორგანიზაციას იწვევენ. ამ ჯურის ფსევდო-სოციალისტები მუშათა კლასს საბოლოვო მიზანს აშორებენ და რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას კატასტროფას უმზადებენ.

დამფუძნებელი კრება და ფედერალისტები

ფედერალისტებმა ნაციონალური დროშა ააფრიალეს და ძლიერი ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნა განიზრახეს. ტყვილა კი არ მოუწოდებდა ამ რამდენიმე დღის წინათ „სახალხო საქმეში“ თედო ღლონტი ქართველ მუშებს—დაივიწყეთ თქვენი ინტერესები, დიდ ქირას ნუ მოითხოვთ თორემ სამშობლოს წარმოება ამას ვერ აიტანსო. ფედერალისტების მამამთავარი, განსვენებული არჩილ ჯორჯაძე, რომელიც დღეს მათი პარტიის წმინდანათ ითვლება, ყველა კლასების გაერთიანებასაც ითხოვდა ეროვნული დროშის გასაძლიერებლათ. ამისთვის დამფუძნებელი კრება მკვდრათ გამოაცხადეს და მის დამარხვას შეუდგენ.

ვიღაცამ თქვა: ღმერთი თუ არ არსებობს უნდა გამოვიგონოთ, შევქნათ იგიო.

ჩვენც ვამბობთ: კიდეც რომ მკვდარი იყოს დამფუძნებელ კრების იდეა, ჩვენ უნდა აღვადგინოთ ის და სასიცოცხლო სული ჩავბეროთ მას. ეს ჩვენი ჟინიანობა როდია ან ცარიელი სურვილი, ეს ჩვენი საარსებო მოთხოვნილებაა.

ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ ერს, ეროვნულ საბჭოებს. მაგრამ ერი—ეს მუშათა კლასი, წვრილი ბურჟუაზია და გლეხობაა და სანამ მუშათა კლასის და წვრილ მოქალაქის ცხოვრების პირობები არ გაუმჯობესებულა, სანამ გლეხს არ მიუღია მიწა და თავისუფლება, მანამდის შეუძლებელია სხვა რამეზე ვიზრუნოთ. ამის განხორციელება კი ერთი დემოკრატიული ფრონტის შემწეობით შეიძლება. ასეთი იყო ჩვენი გზა მუდამ და არც დღეს შეცვლილა პირობები, რომ ჩვენ უკუვაგდოთ ჩვენი ძველი გზა. ფედერალისტები ამას არ დაგიდევენ. აი რას სწერს „სახალხო საქმის გუშინდელ (№ 14) ნომერში ბ. ალ. მდივანი: „სიკვდილისთვის, როგორც სიცოცხლისათვის არსებობენ თავის გარკვეული კანონები ჩვენ ხელთ არ არის მათი შეჩერება“.

ისტორიულ კანონების შეჩერება რომ ჩვენ ხელთ არ არის—ამის მტკიცება ჩვენ ხშირათ გვიხდებოდა სხვათა შორის ფედერალისტებისათვის, როცა ისტორიულ აუცილებლობაზე გვქონდა ლაპარაკი. მადლობა ღმერთს, რომ დღეს, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც აღიარებს ამას ბ. მდივანი. მაგრამ ის სასტიკათ შორდება სინამდვილეს, როცა ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს ცხოვრება დეცენტრალიზმს თხოულობდეს. აი რას სწერს ის: „რუსეთი როგორც მთლიანი სახელმწიფო აღარ არსებობს და მისი თუ გინდ უნიტარულ დემოკრატიული რესპუბლიკის სახით აღდგენა ყოვლათ შეუძლებელია, ისტორიამ უკვე თავისი დასტური დასდო...დ სრულიათ რუსეთის დამფუძნებელი კრება უკვე დაიმალაო. ბ. ალ. მდივანმა, საუბედუროთ, არ იცის ისტორია ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ისტორიის გაგების უნარი არ შესწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეცოდინებოდა, რომ „გარკვეული კანონები“, რომლის „შეჩერება ჩვენ ხელთ არ არის“ იწვევენ გაერთიანებას და არა დაშლას ასეთია მაგალითად ამერიკის და შვეიცარიის რესპუბლიკების ცხოვრება, სადაც მნიშვნელოვან კითხვათა გადაწყვეტა თანდათან ცენტრალურ მთავრობის ხელში გადადის. სხვა გვარათ არც შეიძლება იყოს, რადგან „გარკვეული კანონები“—ესე იგი კაპიტალისტურ განვითარების წესი სწორეთ ამას იწვევს. ეს შეცდომა ბ. ალ. მდივანის არ არის კერძოთ მისი შეცდომა, ეს არის მთელი მსოფლმხედველობა.

ამიტომ არც გასაკვირია, რომ ბ. მდივანს გულწრფელათ ვერ გაუგია ჩვენს გაზეთში დაწერილი შემდეგი სიტყვები: „დემოკრატიულ რესპუბლიკის ეკონომიური და პოლიტიკური ნორმები ავტორიტეტული იქნება იმპერიის (ე. ი. სახელმწიფოს—ავტ.) დიდი უმრავლესობისთვის“-ო და ასე უხსნის თავის მკითხველებს: „ძველი ხმები მოგვესმის ამ ციტატებიდან... „იმპერიის“ არსებობა შესაძლოთ და საჭიროთ მიაჩნიათ. ცენტრალური მიდრეკილება სიცოცხლის უნარს ინარჩუნებს სოც.-დემოკრ. პარტიაში მიუხედავათ თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობისა. მაგრამ ცხოვრება გადასცდა დოგმების საზღვრებს და უკან სვლა შეუძლებელია“.

მართალია, ჩვენს პარტიაში სიცოცხლეს ინარჩუნებს ცენტრალისტური მიდრეკილება, რადგან ეს მიდრეკილება თვით ცხოვრების განვითარებას შეესაბამება.

ფედერალისტები და ალ. მდივანი კი წინ როდი იხედებიან, ისინი გამოდიან თავის სუბიექტიურ შეხედულობიდან და რაკი დღეს, დროებით, რუსეთი მართლა დაიშალა გონიათ ეს ასე უნდა იყოს და შემდეგშიაც ასე იქნება.

ფედერალისტებს რომ პოლიტიკის ანბანი არ ესმის, რომ ისინი მოკლებულნი არიან მომავლის გათვალისწინების უნარს, ეს იქიდანაც სჩანს, რომ დღესვე კავკასიის დანაწილებას და შემდეგ შეერთებას ითხოვენ.

ფედერალისტების იდეიალი აშკარაა: ჯერ უნდა ჩამოყალიბდენ ერები და შემდეგ ფედერაცია შექმნან. ისინი არ დაგიდევენ თუ რას მოუტანს ასეთი მუშაობა დემოკრატიას, რადგან ასე მსჯელობენ: ოღონდ ფედერაციამ გაიმარჯვოს და დემოკრატია თუნდაც წყალს წაუღიაო.

ჩვენ კი დემოკრატიის ინტერესების შეგნებიდან გამოვდივართ და ცენტრალიზმს ვიცავთ იმიტომ, რომ ცხოვრების ეკომიური განვითარება აქეთკენ მიდის. ხოლო ცენტრალიზმი სრულებით არ ნიშნავს ეროვნულ ჩაგვრას, რადგან სხვაა ცენტრალიზმი ბიუროკრატიული და სხვაა ცენტრალიზმი დემოკრატიული.

პრესა

ჩვენებურს სოციალისტ-ფედერალისტებს ძალიან უყვართ ტრაბახი. ეს ხალხი იმ თავიდანვე უჯარო გენერლების გროვას წარმოადგენს და ამიტომ ყველაფერში „ინსტიტუტკის“ გრძნობიერებას იჩენს.

ამ დღეებში მათი კონფერენცია გაიმართა ქალაქ თფილისში. ვინ იქნებოდენ ამ კონფერენციის დამსწრენი, ეს ადვილი გამოსაცნობია, რადგან მუშა და გლეხი ისე არ ეკარება ამ მცონარე, უილაჯო ინტელიგენტთა პარტიას, როგორც მართლ-მორწმუნე მაჰმადიანი ღორის ხორც. ეს აშკარათ დამტკიცდა სხვათა შორის დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს. მიუხედავათ ამისა „სახალხო საქმე“-ში ვკითხულობთ: „ეხლანდელი კონფერენცია თავის შემადგენლობით უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე, პირველი. **იქ ბლომად იყვნენ მიწის მუშა გლეხები და ქალაქის მუშები**, რაიც უტყუარი თავდებია პარტიის ზრდა-განვითარებისა“ (ხაზს ჩვენ ვუსვამთ).

ამ ტყუილებს და ტრაბახს „სახალხომ“ ზედ მიაყოლა კიდევ უფრო სასაცილო კვეხნა.

„სასიამოვნო სანახავი იყო მიწის მუშების ლაპარაკი იმ საგანზე, რომელიც მათთან ძლიერ ახლოა—მიწის შესახებ. **მათი შეგნება და ჭეშმარიტი შეფასება, უეჭველია გამართლებაა ჩვენის იდეალების და მიზნებისა**“ (ხაზი ჩვენია).

თუ იმ პროგრამას ვერწმუნებით, რომელიც ფედერალისტებმა რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონერებისაგან უცვლელად ისესხეს, გამოდის, რომ ქართველ მიწის მუშებს მოუთხოვიათ მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება. ტყუილებს მოკლე ფეხები აქვსო, ნათქვამია. ერთი გვიჩვენოს „სახალხომ“ ისეთი სოფელი, რომლის მცხოვრებნი საკუთრებაზე ხელის აღებას ფიქრობენ.

ასეთი ტრაბახა ხალხი სერიოზულ საკითხებზე მსჯელობს და რაც ყველაზე სასაცილოა, რუსეთის რევოლიუციონურ ფრონტის გამთელებას ებღაუჭება ცარიელი სიტყვებით, რასაკვირველია. საინტერესოა ფედერალისტების ფილოსოფია. ს. დადიანი სწერს „სახალხოში“:

„ჩვენ იმ თავითვე იმ აზრისა ვიყავით, რომ რევოლიუციონური ფრონტის გამაგრება შესაძლებელია რევოლიუციონურ დემოკრატიის ორგანიზაციით **ეროვნულს ჩარჩოებში** და ამისთვის ბევრი ლანძლვა **და გაკიცხვა** მივიღეთ... გვწამებდენ კონტრ-რევოლიუციონერობას და „დემოკრატიის მთლიანი ფრონტის დარღვევის სურვილსა“. საქმე რომ სურვილებში იყოს, ვინ იცის, ფედერალისტებს იქნებ კეთილი სურვილები ქონდეთ, მაგრამ მნიშვნელობა აქვს არა სურვილებს, არამედ მოქმედებას. და ის მოქმედება, რომლის განხორციელებას ფედერალისტები ფიქრობდენ, მართლა დამღუპველი იქნებოდა დემოკრატიისთვის. ამიტომ, რასაც ძველი რუსეთის ჩარჩოებში ითხოვდენ ფედერალისტები, იმასვე ითხოვენ ისინი კავკასიის მასშტაბით. ისინი ითხოვენ: ჯერ საქართველოს დამფუძნებელი კრება, სომხეთის და სხვ. და შემდეგ ფედერატიულათ შეკავშირება. ეს ნიშნავს: ჯერ დაარღვიე კავკასია

და შემდეგ ეს დარღვეული ნაწილები შეაერთეო. ჩვენ კი ვამბობთ: კავკასიის ერთობა დღეს ფაქტია, გავამაგროთ მისი დემოკრატია საერთოთ და ამ ფარგლებში ერებით მოეწყობიან თავისუფლათო. ფედერალისტებზე უფრო გულწრფელს მოთხოვნას ეროვნული დემოკრატები აყენებენ: ისინი კავკასიის ცალკე სახელმწიფოებათ დაყოფვას მოითხოვენ. აქ ლოღიკა მაინც არის!

„სახალხო საქმე“ მარტო თავის ქებით როდი კმაყოფილდება, ის ჩვენ გვიკიჟინებს „გულახდილობის და გულწრფელობის“ უქონლობას, „სათაკილო გზით სვლას და ბრძოლას“ და სხვ. რაკი „სათაკილო გზას“ და „გულწრფელობა“-ს ახსენებენ ფედერალისტები მეტი არ იქნება მოვიყვანოთ ერთი ნიმუში მათი არა სათაკილო მოღვაწეობის. 1914 წელს „სახალხო ფურცელის“ № 147-ში ნიკო რომანოვის თფილისში მოსვლის გამო დახატული იყო რომანოვის სურათი ზედ წარწერით:

„ხელმწიფე იმპერატორის მობრძანება თფილისში“. დღეს ჩვენ ქალაქს ეწვევა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი, ეს დღე ფრიად ღირსშესანიშნავია და ისტორიულს „კვალს“ დასტოვებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ხელმწიფე იმპერატორი საქართველოს დედა ქალაქ თფილისში პირველათ არის.

„დიდმნიშვნელოვანი იქნებოდა მისი მობძანება ყოველთვის, მაგრამ განსაკუთრებით უფრო დიდმნიშვნელოვანია დღეს, როდესაც პატარა საქართველო დიდ რუსეთთან ერთად მონაწილეობას იღებს ისტორიაში უმაგალითო ომში.

⁂

„ბრძოლა“ ხშირად გვისაყვედურებს—ჩვენ ვართ ნამდვილი მარქსისტები და თქვენ ბლანკისტობას გვაბრალებთო. მაგრამ დავუგდოთ ყური, რას სწერს „ბრძოლა“ 12 იანვრის ნომერში:

„დიახ, რუსეთი ჩამორჩენილი ქვეყანაა და ამ ჩამორჩენილ ქვეყანაში თეორეტიულათ ყველამ სცნო, რომ აუცილებლად საჭიროა შესდგეს ერთგვარი სოციალისტური სამინისტრო, სადაც ადგილი არ ექნება ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. რა უნდა აკეთოს ასეთმა სამინისტრომ? მან უნდა დაიცვას პროლეტარიატის ინტერესები და ეს კი შეიძლება ბურჟუაზიასთან ყოველგვარ კავშირის გაწყვეტით და სოციალიზმისკენ შეგნებულათ წასვლით“.

მაშასადამე, ამ ახირებულ „მარქსისტების“ აზრით სულაც არ ყოფილა საჭირო ობიექტიური პირობები, თურმე საკმაო, რომ „თეორიტიულად სცნოთ“, ესე იგი, ბალშევიკურად იმსჯელოთ!

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

ალსტაფიდან შემდეგი ცნობა მივიღეთ 12 იანვარს, საღამოს გამოგზავნილი: დელეგაციის ერთი ნაწილი რამიშვილის მეთაურობით მატარებელში დარჩა. ეს მატარებელი ეშელონებმა წაიმძღვარეს წინ. მათ გაყვა ყველა მატარებლები. დელეგაციის მეორე ნაწილი იქვე დარჩა, რომ კავშირი აღედგინა მახლობელ სოფლებთან. ფიქრობენ, რომ დელეგატების მატარებელს წინ წაიმძღვარებენ ბაქომდეო და იარაღსაც აყრიან მოდარაჯე რაზმსო. იმ ადგილიდან, სადაც მატარებელი დაიმსხვრა, როგორც სჩანს, ჩავარდნილი ორთქლმავალი ლიანდაგზე გაასწორეს და ბაქოსკენ ჰქნეს პირი. რა მდგომარეობაშია რკინის გზა ალსტაფიდან განჯამდე არ ვიცით.

მეორე ცნობა 12 იანვარს ღამის პირველ საათზე გამოგზავნილი ასეთია: ყველა დელეგატები რამიშვილთან ერთად ქვეითად ჩამოვიდენ ფოილოს სადგურზე. დელეგატის მატარებელი კი ეშელონებს წაუყვანიათ. წაუღიათ აგრეთვე ყველა სამხედრო თუ საკვები სურსათი.

ალექსანდროპოლიდან რკინის გზის ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული ლოპატკო იტყობინება, რომ აქეთ წამოსასვლელი ეშელონების დროებით შეჩერების შესახებ არავითარმა ზომებმა არ გასჭრაო. თუმცა ეშელონები გაუფრთხილებიათ, რომ გზები წამხდარია და მოგზაურობა არ შეიძლებაო, მაგრამ ჯარისკაცებზე ამას არ უმოქმედნია. თვითგასამართლების შიშით იძულებული ვიყავი ორთქლმავლები მიმეცა მათთვის და შევუდექით ჯარების მაქეთ გამომგზავრებასო.

ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

კავკავი. 9 იანვარს მოხდა შეთახმება ინგუშებთან, რომელნიც ეს რამდენიმე დღეა თავზარს სცემდენ მთელ ქალაქს. ინგუშები დასთანხმდენ შური არ ეძიათ იმ მოკლულ ინგუშების გამო, რომლებიც ფულის ყუთს და კანცელიარიას სდარაჯობდენ და მოჰკლეს. საღამოზე მთიულებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს, რომ არ გაეშვათ იქ მძარცველები. დაიწვა რკინის გზის სახელოსნო, სასწავლებელი, ნავთის ერთი დიდი აუზი და ალაგირის ქარხნის კანტორა. ვაგზლის პროსპექტი და როსტოვის ქუჩის ნაწილი მცხოვრებლებმა დასტოვეს და ეს ქუჩები მძარცველებმა სულ გაანადგურეს. გაერთიანებულმა მთავრობამ და ქალაქის თვითმართველობამ საჭიროთ დაინახეს საგანგებო უფლებები მისცენ გარნიზონის უფროსს პოლკოვნიკ ბელიკოვს ქალაქის დაცვის საქმეში. მოეწყო თვით-დაცვის საქმე და შესდგა აფიცერთა რაზმი, რომელიც თავგამოდებით მუშაობს. უკვე მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მცხოვრებნი დამშვიდდენ.

კავკასიის ჯარების ყრილობის საგანგებო კომისიის წევრი კავკავიდან პირდაპირი მავთულით იტყობინება, რომ მას შემოუვლია თერგის ოლქის ზოგიერთი ადგილები, სადაც ყველგან გულის მომკვლელი სურათები უნახავს. ინგუშები და ჩეჩნები არაფრის წინ არ იხევენ და სძარცვავენ მცხოვრებთ. როგორც დავრწმუნდი, თერგის ოლქში კონტრრევოლიუციონერებმა ბუდე გაიკეთეს და აშკარა პროვოკაციას ეწევიან, უნდათ ინგუშები და ჩეჩნები კაზაკებს მიუსიონ და ძმათა სისხლი დაღვარონ, ასეთსავე აგიტაციას ეწევიან კაზაკებშიც. როცა ინგუშებთან ლაპარაკი ჰქონია, მათ განუცხადებიათ, რომ ჩვენ ვმოქმედობთ ლენინის ლოზუნგის ქვეშ თვითგამორკვევის ნიადაგზეო. ჩვენ მაშინ გავხდებით დემოკრატები, როცა ჩვენ ტერიტორიაზე ერთი რუსი ჯარისკაცი არ დარჩებაო. ძარცვა-გლეჯას და ხოცვა-ჟლეტას ბოლო აღარ ელება—თხოულობენ დახმარებას, რომელიც არსად არის. დამიჭირეს ინგუშებმა და უნდოდათ თვითგასამართლება. მაგრამ მოხუცმა ინგუშებმა გამანთავისუფლეს როგორც ქართველი.

ᲡᲐᲖᲐᲕᲝ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

გენ. გოფმანმა რუსეთის დელეგაციას შემდეგი განუცხადა: „პეტროგრადის კომისიამ მოახსენა სამხედრო მინისტრს, რომ რუსეთის მთავრობას აზრათ აქვს გერმანელი ტყვე-აფიცრებისთვის ისეთი რეჟიმი დააწესოს, როგორც გერმანელ ტყვე-ჯარისკაცებისთვის არისო; ყველა ის უპირატესობანი, რომლითაც დღემდე სარგებლობდენ აფიცრები, აზრათ აქვთ გააუქმონო. სამხედრო მინისტრმა ამის გამო მიანდო გენერალ გოფმანს განუცხადოს სახალხო კომისარს და რუსეთის მთავრობას, რომ თუ ვინიცობაა, რუსეთის მთავრობამ თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა, გერმანიის სამხედრო მინისტრი იძულებული იქნება უკანვე გაიწვიოს პეტროგრადის კომისიაო“.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ

ამას წინეთ ადგილობრივ ზოგიერთ გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, რომ ქალაქი რიზე ოსმალთა „ჩეტნიკებმა“ დაიკავესო. პოლკოვნ. მალინოვსკი იუწყება: ასეთი ცნობის ავტორი შეცდომაში შეუყვანია იმ მოვლენას, რომ რიზის მცხოვრებნი (ოსმალები) თავდაცვის მილიციას ადგენენ ადგილობრივ რევოლიუციონურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ნებართვით და მათთან შეთანხმებითო.

როგორც სომეხთა ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ კარაკლისიდან, იქაური მდგომარეობა კრიტიკული ყოფილა. ქურთებს უკვე დაუკავებიათ რკინის გზის 4 სადგური ბაიაზეთიდან შახტახტოვამდე. ორი დღეა ომი სწარმოებს რუსის ჯარსა და ქურთებს შორის. ბაიაზეთიდან გაგზავნილი დამხმარე რაზმი ვერ გაუმაგრდა მტერს და უკან დაიხია. ასეთივე არა სანუგეშო ცნობები მოდის საბჭოს ერძინჯანიდან და სხვა ადგილებიდან—ყველა ამ ადგილებში ქურთები წინ მოიწევენო. ფრონტის კომისარს კი ასეთი დეპეშა მოუვიდა არზრუმიდან: ხმები, თითქოს ერძინჯანის რაიონში ოსმალების მხრით შეტაკებას ჰქონდეს ალაგი მართალი არ არის. ამ რაიონში სრული სიწყნარეა. ამ ცნობას ადასტურებს პოლკოვნიკ მორელის ოფიციალური ცნობა 10 იანვრის თარიღით გამოგზავნილი.

სამხედრო საქმეთა კომისარმა ვ. პ. გობეჩიამ შემდეგი დეპეშა მიიღო სპარსეთიდან: მე-66 დივიზიის შტაბმა წინ გამოუსწრო თავის ნაწილებს, დასტოვა ეს ნაწილები ღვთის ანაბარათ, აგიტაციას ეწევა ეს შტაბი, რომ ჯარი დაემორჩილოს მას და არა დივიზიის უფროსს გენ. პოლოვცევს, ამიტომ საარმიო საბჭოს ნებართვით, რომელიც თავის „პოსზეა“ ჯერ-ჯერობით ურმიაში, მე, კორპუსის კომისარმა, ვუბრძანე საარმიო ცენტრის წევრს მატროსს სალტიკოვს წავიდეს სამხედრო რაზმით ჯულფაში და დააპატიმროს მე-66 დივიზიის მთელი შტაბი“.

ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ

ამას წინათ ჩვენს გაზეთში მოკლე ცნობა იყო მოთავსებული შესახებ იმისა, რომ დაშნეკელები სოფელ-სოფელ დადიან და ძალით მობილიზაციას ახდენენ სომხებშიო. თუ როგორ მუშაობენ ამ ნიადაგზე დაშნაკელები სოფლად და როგორია საზოგადოთ მათი სამოღვაწეო გეგმა, ამის სამაგალითო ნიმუშს იძლევა სომხურ ს. დემ. გაზეთ „ფაიქარის“ კორესპონდენტი ერევნიდან. კორესპონდენტი ეხება რა სომხურ ნაციონალურ საბჭოს მოღვაწეობას და საბჭოში მყოფ სომეხ ს. დ. მცირე-რიცხოვან ამხანაგების საყურადღებოთ შემდეგს სწერს:

„საბჭოში უმრავლესობას შეადგენენ დაშნაკცაკანები, რომელთაც აქა თუ პროვინციებში მაგრათ უჭირავთ თავი. ჩვენ კი ვიცით, რომ დაშნაკელების ხელმძღვანელების უაზრო მოღვაწეობის შემწეობით სომეხი ხალხი არა ერთხელ ჩავარდნილა განსაცდელში“.

ამისათვის კორესპონდენტი გაფრთხილებას აძლევს სომეხ ამხანაგებს, რათა დარაჯად დაუდგენ ისინი დაშნაკცაკანების მოქმედებას, რომ საბჭოში ბოროტათ არ მოიხმარონ დემოკრატიის სახელი და ახალ განსაცდელში არ ჩააგდონ სომეხი ხალხი. შემდეგ ის ეხება მობილიზაციის საკითხს, და ააშკარავებს დაშნაკელების უპასუხისმგებლო მოღვაწეობას ის სწერს:

„რომ დაშნაკელები თავიანთ თავის გარდა არავითარ მართველობას ანგარიშს არ უწევენ და არც სცნობენ, ამის მაგალითს იძლევა ერევანი, სადაც ჯერ კიდევ 26 დეკემბრიდან ნაციონალურ საბჭოს სახელით გამოაცხადეს მობილიზაცია 19—32 წლოვანებისა. ესენი უნდა გამოცხადებულ იყვენ იმავე დეკემბრის 31-და. ჩვენ კი გაზეთებიდან გავიგეთ, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკრეტი მობილიზაციის შესახებ გამოიცემა მხოლოდ იანვრის ნახევრიდან. რა არის ეს,—თუ არა თვითნებობა და მართველობის უარყოფა?

ნუ თუ ნაციონალური საბჭო ან პარტია უფრო მაღლა სდგას, ვინემ მთელი მხარის მართველობა? დაშნაკელების თავგასულობა იმდენათ შორს მიდის, რომ მობილიზაციას მუქარის ქვეშ აცხადებენ, და სასტიკად სჯიან, ვინც უარს ეუბნება.

საინტერესოა ვიცოდეთ: მისცა თუ არა ნაციონალურმა საბჭომ ასეთი უფლებები მათ?

რამდენათ მეტი ვრცელდება გაზეთი, იმდენათ მას უადვილდება არსებობა. თვითეულმა საკუთრათ გამოიწერეთ გაზეთი „ერთობა“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

◆ **მდგომარეობა ახალციხეში.** მუსულმანთა დელეგატებმა წინადადება შემოიტანეს ბოლო მოუღონ უკანასკნელ დღეებში მომხდარ გაუგებრობას. ასე რომ, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება.

◆ **სადგ. სადახლოდან** ამიერ კავკასიის კომისარიატს შემდეგს ატყობინებენ: 12 იანვარს, საღამოს 10 საათზე, სამხედრო მატარებელს, რომლითაც სომეხი ჯარისკაცები მოდიოდენ, „ჟეზლი“ ისე მისცეს, რომ არ შეუჩერებიათ, მაგრამ ჯარისკაცებმა ძალით გააჩერეს მატარებელი, გამოვიდენ ვაგონებიდან და ასტეხეს სროლა. ჯერ-ჯერობით აღმოაჩინეს ერთი მოკლული, სადგურის მოსამსახურე სერაფიონ ჯაფარიძე. მუსულმანთა სოფლები ლობანი და სადახლო საშინლათ აღელვებულია და თხოულობენ არ გამოიგზავნოს ასეთი ეშელონები, თორემ გზას ავყრითო. ასეთ პირობებში სამსახური შეუძლებელია. ან დაგვეხმარეთ, ან სამსახურიდან გაგვანთავისუფლეთო.

◆ **ბანკებში.** ვინაიდან ქაღალდის ფული თითქმის არ მოიპოვება, ბანკებში მუშაობა შემცირდა. სასურსათო და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებენ ქაღალდის ფულის უქონლობის გამო. ჩეკების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ქალაქებში. მაზრებთან სავაჭრო დამოკიდებულებაში კი ისინი არ გამოდგებიან. ბონების გამოცემას მოუთმენლათ მოელიან.

◆ **პოლონელთა საოლქო საბჭო.** ამ დღეებში მოხდება პოლონელთა საოლქო საბჭოს 12 წევრის არჩევა. არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ყველა პოლონელი, ვინც 18 წლისაზე ნაკლები არ არის.

◆ **პროტესტი დამფუძნებელ კრების გარეკის გამო.** დამფუძნებელ კრების დაცვის მოსკოვის კავშირს თფილისიდან შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: ვსცნობთ რა სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას მთელი რუსეთის რესპუბლიკის ერთად-ერთ პატრონათ, კავკასიის მიმოსვლის საოლქო სამართველოს მუშათა ორგანიზაცია პროტესტს აცხადებს რუსეთის ხალხის არჩეულთა წინააღმდეგ უხეშის ძალადობის ხმარების გამო, რომელიც ჩაიდინეს ძალა-უფლების ძალათ ხელში ჩამგდებლებმა. მზათა ვართ დავიცვათ დამფუძნებელი კრება.

◆ **კავკასიის მუშათა ცენტრში.** 12 იანვრის სხდომაზე მუშათა ცენტრმა გამოჰყო ცალკე კომისია, რომელმაც უნდა აწარმოოს ცენტრის წინასწარი მუშაობა. ცენტრში შემოსულ ყველა საქმეებს მუშათა კომისია განიხილავს წინასწარ; წვრილმან საკითხებს თითო გადასჭრის დამოუკიდებლათ.

◆ **შემოწირულება.** მესამე სამილიციო უბნის მცირე-კოლექტივს სხვადასხვა პირებისგან მიუღია შემოწირულება 41 მან. და 40 კაპ., რისთვისაც ის მადლობას უცხადებს შემომწირველებს, რომელთა სია უადგილობის გამო ვერ იბეჭდება.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს, საღამოს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ჰაუპტმანის კომედია კ. მესხის მიერ გადმოკეთებული „მელანიას ოინები“. გამგეობამ გადასწყვიტა წარმოდგენები დაიწყოს საღამოს 7 საათზე, რათა საშუალება მიეცეს საზოგადოებას ადრე დაბრუნდეს სახლში. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ თფ. „იზვესტიაში“ შემდეგი ამბავია მოთხრობილი: „10 იანვარს, დაახლოვებით საღამოს 8 საათზე ერევნის მოედანზე მილიციონერებმა ქურდი მოჰკლეს.

მილიციონერების სიტყვით ქურდი მათ იმიტომ მოკლეს, რომ ის გაქცევას აპირებდაო.

ამ ამბის შემდეგ სულ რამდენიმე წუთი გავიდა და ქალაქის თავთან მივიდენ ხმოსნები თარხანოვი და ხუდადოვი, როგორც მკვლელობის შემთხვევით შემსწრენი და მოახსენეს ქალაქის თავს, რომ ქურდს არავითარი საბაბი არ მიუცია მილიციონერებისათვისო.

როგორც სჩანს, ქურდს სრულიადაც არ უფიქრია გაქცევა.

ორჯერ უკანასკნელად მაშინ დაახალეს თოფები ქურდს, როცა ის პირ-აღმა დაჭრილი ეგდო მიწაზე.

ამ სამწუხარო იმბავმა მეტად აღელვა ქალაქის თავი და სასურსათო კომიტეტის ყველა წევრები, რომლებსაც ნ. ზ. ელიავას თავმჯდომარეობით გამგეობის დარბაზში თათბირი ჰქონდათ. ქალაქის თავმა საჩქაროთ გამოიწვია ტელეფონით მილიციის უფროსი კაჩუხოვი, რომელსაც მიანდო საქმის ყოველმხრივ გამოძიება. ეს პირველი მაგალითი არ არის ზოგიერთა მილიციონერების მხრით ამგვარი თვითგასამართლებისა“.

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘ.

— 15 იანვარს, საღამოს 6 ს., კავშირის ბინაზე (პეტრე დიდის ქ.) დანიშნულია ტყვეულობაზე მომუშავეთა დელეგატების საერთო კრება.

— კვირას, 14 იანვარს, საღამოს 5 ნახ. საათზე, ვერის მუშათა კლუბში (უდელნი ქუჩა, № 3), შესდგება პირველ სამილიციო უბნის ს.-დ. პარტიის წევრთა საერთო კრება. ამხ. თ. კიკვაძე გააკეთებს მოხსენებას ქართულ ენაზე მიმდინარე საკითხების შესახებ. შემდეგ განხილულ იქნება მცირე-კოლექტივის მოქმედების პროგრამა და დღიური საკითხები.

— 14 იანვარს, დილის 10 ს. დანიშნულია ნაძალადევის მცხოვრებთა საერთო კრება ნაძალადევის თეატრის შენობაში. ასარჩევია უბნის კომიტეტი, განსახილველია თავდაცვის საკითხი და სხ.

— დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, დანიშნულია დემოკრატიულ კლუბის „მუშტაიდის“ წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია ლიუტერანთა საეკლესიო სკოლის დარბაზში (კიროჩნი ქ. № 25) ყველა ესტონელთა კრება.

— 20 იანვარს, შესდგება რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. კრების მონაწილეთ უთუოდ მანდატები უნდა ჰქონდეთ. ამ კრებაზე უნდა აირჩიონ რაიონულ კოლექტივის და თფილისის კომიტეტის წევრნი.

— დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე დანიშნულია მომხმარებელ საზოგადოების „მოსავალი“-ს მოსამსახურეთა საერთო კრება. კრება გაიმართება მიხაილოვის პროსპ., სახლი № 128.

— დღეს, დილის ათ საათზე სასახლეში, თეთრ დარბაზში გაიმართება თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სასწრაფო კრება.

— დღეს საბურთალოზე სახალხო თეატრში გაიმართება საზოგადო კრება ქოლა ლომთათიძის სახელობაზე დაარსებულ სამკითხველოს საქმეების მოსაწესრიგებლათ.

— ხვალ, საღამ. 6 ს., ავლაბრის საზამთრო კლუბის დარბაზში დანიშნულია ავლაბარში მცხოვრებ ახალგაზრდა მარქსისტთა და თანამგრძნობთა კრება. კრებაზე დასწრება შეუძლიათ როგორც მუშებს, ისე მოსწავლეებს. ვსთხოვთ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ ამ კრებას.

— დღეს ნიკოლოზის ქუჩაზე პოლონელების სკოლაში გაიმართება პოლონელთა საოლქო საბჭოს არჩევნების შესახებ წინასწარი კრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, გაიმართება მეექვსე რაიონის კოლექტივის კრება.

ყოველი პარტიის წევრი მოვალეა საკუთრათ გამოიწეროს პარტიის ცენტრალური ორგანო „ერთობა“.

ᲙᲐᲕᲙ. ᲛᲣᲨ., ᲯᲐᲠ. ᲓᲐ ᲒᲚ. ᲓᲔᲞ. ᲡᲐᲑ. ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

12 იანვარს ამხ. ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით შესდგა კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრთა კრება. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) დამფუძნებელ კრების გარეკა; 2) ჯარში გაწვევა; 3) საარტილერიო საწყობის იარაღით შევსება; 4) ჩრდილოეთ კავკასიის ამბები; 5) პრეზიდიუმის არჩევნები და 6) ეროვნებათა შეერთებული სამხედრო საბჭო.

დამფუძნებელ კრების გარეკის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამიერ კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ამხ. ევგენი გეგეჭკორი. ის, რაც იყო მოსალოდნელი ბალშევიკების გამოსვლის შემდეგ შექმნილ პოლიტიკურ პირობების მიხედვით, — ამბობს მომხსენებელი, — უკვე ფაქტათ იქცა. დამფუძნებელ კრების გარეკის შესახებ საკითხი არა ერთხელ გარჩეულა. ჯერ კიდევ დამფუძნებელ კრების დეპუტატთა თათბირის გარეკვის ფაქტიდან რევოლიუციონურ ორგანიზაციებმა შესაფერი დასკვნა გამოიტანეს. კავკ. მ., ჯ. და გლ. დეპ. საბჭოთა ცენტრმა მაშინ სთქვა, რომ ამით თვით დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ გაილაშქრესო. ცენტრმა მაშინ მიიღო ზომები დამფუძნებელ კრების დასაცავათ, მაგრამ ჩვენ აქ მოვუნდით რევოლიუციონურ წესრიგის დაცვას და ბალშევიკების გამოსვლის შემდეგ რუსეთს სავსებით მოწყვეტილებმა ვერ განვახორციელეთ ამ მხრით ჩვენი დადგენილება. როცა ჩვენ ვამბობდით ბალშევიკებმა გარეკეს დამფუძნებელი კრებაო, ბალშევიკები აღელვებული გვიპასუხებდენ: ეს არ არის მართალიო. ჩვენ იმიტომ ჩავიგდეთ ძალა-უფლება ხელში, რომ თავის დროზე მოვიწვიოთ დამფუძნებელი კრებაო. და ჩვენ ეხლა უკვე ვიცით, თუ როგორ შეასრულეს ბალშევიკებმა დაპირება. 28 ნოემბრის მაგივრათ მათ 5 იანვარს მოიწვიეს დამფუძნებელი კრება და მაშინაც გარეკეს. მაგრამ თავის სამარცხვინო მოქმედება რომ დაეფარათ, ულტიმატუმი წარუდგინეს დამფუძნებელ კრებას, რომლის მიღება დამფ. კრებას არ შეეძლო. არის დეკრეტი დამფ. კრების გარეკის შესახებ. დამფუძნებელი კრება, როგორც ბალშევიკებს სურდათ, ახლა არ მოქმედობს, მაგრამ მისი იდეა არ მომკვდარა, მის გარშემო ბრძოლა უკვე დაიწყო და ძალთა განწყობილებაზეა დამოკიდებული, თუ რომელი მხარე გაიმარჯვებს. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები დამფუძნებელ კრების დასაცავათ. ცენტრმა უნდა გამოიტანოს საპროტესტო რეზოლიუცია და განაცხადოს, რომ ყოველგვარი გამოსვლა დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ ძირშივე იქნება ჩახშობილი. მიტინგების გამართვით, დემონსტრაციების მოწყობით, საპროტესტო რეზოლიუციების მიღებით ამიერ კავკასიის დემოკრატია იტყვის თავის სიტყვას ბალშევიკების ძალადობის წინააღმდეგ.

სახნოვსკი მოითხოვს მოეწყოს რეალური ძალა ბალშევიკების ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ამავე აზრის არის ილ. ქარცივაძე. რეზოლიუციები, პროტესტები, დემონსტრაციები ვერ უშველიან საქმეს. საჭიროა ერთი ყუმბარა მაინც გასკდეს პეტროგრადში კავკასიის დემოკრატიის სახელითო.

ამხ. **კ. გვარჯალაძე.** ჩვენ ყოველთვის მივდიოდით ერთად რუსეთის დემოკრატიასთან და ახლაც გვინდა მის გვერდით ვიბრძოდეთ. რ. ს.-დ. მ. პ. საოლქო კომიტეტმა დაადგინა, რომ ამიერ კავკასიის დეპუტატები წასულიყვენ პეტროგრადში. ორატორი არ ეთანხმება ილ. ქარცივაძეს, მისი მოსაზრება სრული ფანტაზიაა. ვერ დავუჭერთ მხარს ვერც დამფუძნებელ კრების უკრაინაში გადმოტანის წინადადებას. ბალშევიკები დაეცემიან თვით შინაგანი დაშლით. ჩვენ კი უნდა ვეცადოთ, რომ ანარქია ამიერ კავკასიასაც არ მოედვას. ამიტომ საჭიროა დაჩქარებით მოვიწვიოთ ამიერ კავკასიაში დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნათ არჩეულ დეპუტატებისაგან შემდგარი სეიმი. ორატორის აზრით, ამიერ კავკასიის კომისარიატი ვერ სარგებლობდა შესაფერი ძალით, ამიტომ იგი ჰაერში იყო გამოკიდებული. მომავალ მთავრობასაც რომ ასე არ მოუვიდეს სეიმის მიერ შედგენილი მთავრობა უნდა ეყრდნობოდეს თვითეულ ერის რეალურ ძალას.

ადგილობრივი მთავრობის მოწყობის შესახებ ამხ. **ევ. გეგეჭკორი** ამიერ კავკასიის კომისარიატის სახელით აცხადებს შემდეგს: 12 ნოემბერს დაადგინეს, რომ ამიერ კავკასიის კომისარიატი არის დროებითი ორგანო, რომელიც მოქმედობს დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. თუ დამფუძნებელი კრება არ შესდგებოდა დანიშნულ დროზე, მაშინ კომისარიატი თავის უფლებებს გადასცემდა დამფუძნებელ კრების ადგილობრივ დეპუტატების კრებას. 4 იანვრის სხდომაზე მე უკვე განვაცხადე, რომ ამიერ კავკასიის კომისარიატი მზათ არის თავის უფლებები გადასცეს დამფუძნებელ კრებას. ახლა დამფუძნებელი კრება უკვე გარეკილია და თქვენ აქედან შესაფერი დასკვნა უნდა გამოიყვანოთ. ამიერ კავკასიის კომისარიატი გთხოვთ მახლობელ დღეებში მოიწვიოთ ადგილობრივ დეპუტატთა კრება. შემდეგ ორატორი ეხება ამიერ კავკასიის კომისარიატის მდგომარეობას და ამბობს, რომ ეროვნულ საბჭოების მოწყობამ მას დიდი ზიანი მიაყენა; მას არ უჭერდა მხარს ყველა ის ორგანოები, რომლებმაც იგი წარმოშვეს. აქ ადგენდენ ეროვნულ სამხედრო ნაწილებს, მაგრამ ისინი კომისარიატს არ ემორჩილებოდენ. ჩვენ დეკრეტებმა, განსაკუთრებით მიწის საკითხის შესახებ დეკრეტმა გამოიწვია უკმაყოფილება მცხოვრებთა ზოგიერთ ნაწილებში. ილაშქრებენ ამიერ კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ და ჩვენ არა გვაქვს რეალური ძალა, რომ დავიცვათ კომისარიატის ავტორიტეტი. დაყოვნება სიკვდილს უდრის. დაუყონებლივ უნდა შესდგეს მთავრობა, აღჭურვილი არა მარტო ნდობით, არამედ—რეალურ ძალითაც, თორემ აქაც გაბატონდება ანარქია. ჩვენ არა გვაქვს არავითარი საშუალება. 50 მილიონ მანეთის ბონების გამოცემა შეჩერებულია საღებავის უქონლობის გამო. ჩვენ მივაღწიეთ მუშათა კლასის ნდობას და ვაი ჩვენ, თუ ეს იარაღი დავკარგეთ.

ვ. ჯუღელიც მომხრეა სეიმის მოწვევისა. ი. გობეჩიას აზრით ძლიერი დემოკრატიული მთავრობის მოწყობა ადგილობრივ საუკეთესო რეალური დახმარების აღმოჩენა იქნება დამფუძნებელ კრებისთვის.

ამ საკითხის შესახებ კრებამ თითქმის ერთხმათ (8 შეიკავა თავი) მიიღო ამხ. ნოე ჟორდანიას შემდეგი რეზოლიუცია: „დამფ. კრების გარეკამ გასწყვიტა ის უკანასკნელი ძაფიც, რომელსაც შეეძლო მთელი რუსეთისა და სრულიად რუსეთის რევოლიუციონერ დემოკრატის გაერთიანება. ბრძოლა დამფუძნებელ კრებისათვის არის ბრძოლა რუსეთის მთლიანობისა და რევოლიუციის გამარჯვებისათვის. დამფუძნებელ კრების გარეკამ კვლავ დასტოვა თავის თავის საკუთარ ძალების ამარა ამიერ-კავკასია, სადაც ანარქია უფრო და უფრო ფართოვდება და ღრმავდება. მხარის საარსებო ინტერესები მოითხოვენ მახლობელ დღეებში ამიერ-კავკასიისა და კავკასიის ფრონტის მიერ დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნათ არჩეულ დეპუტატების კრების მოწვევას, რომელმაც უპირველეს ყოვლისა უნდა შექმნას ძლიერი ავტორიტეტული მთავრობა, რომელიც შესძლებს დაიცვას რევოლიუციონური წესრიგი და გაატაროს ცხოვრებაში მომწიფებული კითხვები“.

ჯარში გაწვევის საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: გადაიდვას ამ საკითხის გარჩევა მანამდე, სანამ ეროვნებათა შეერთებულ სამხედრო საბჭოს არ წარმოუდგენია ცნობები სურსათის, იარაღისა და ტანისამოსის და სხ. შესახებ.

რამდენიმე წევრის განცხადებით, ზოგიერთ ადგილებში უკვე დაუწყიათ მობილიზაცია კერძო წრეების განკარგულებით. ამ საკითხის გამორკვევა და შესაფერ ზომების მიღება მიენდო პრეზიდიუმს.

საარტილერიო საწყობის იარაღით შევსების შესახებ თავმჯდომარე აცხადებს: ერთად ერთი წყარო იარაღისა არის საარტილერიო საწყობი. იქ იარაღის რაოდენობა თანდათან მცირდება. იარაღის დასამზადებელი ქარხანა ჩვენ არა გვაქვს. ამიტომ განზრახვა იყო იარაღი აგვეყარა სახლში მიმავალ სამხედრო ნაწილებისათვის. ეროვნებათა შეერთებულ სამხედრო საბჭომ დაადგინა შერეული რაზმის საშუალებით სისრულეში მოეყვანა ეს განზრახვა.

ჩემოდანოვი. კავკასიის ჯარის საბჭოს სახელით მოითხოვს, რომ იარაღის აყრა არ უნდა ხდებოდეს ძალით. მხოლოდ ნებაყოფლობით უნდა ჩამოვართვათ იარაღი ჯარისკაცებს, რომ თავიდან ავიშოროთ ისეთი ამბები, როგორიც დღეს აღმოსავლეთ ამიერ კავკასიაში ხდება.

ვალ. ჯუღელი ამტკიცებს, რომ ეშელონები ნებაყოფლობით დასთმობენ იარაღს, თუ ისინი დარწმუნებული იქნებიან, რომ ეს იარაღი საიმედო ორგანიზაციების ხელში გადადის. ჩვენ კი იარაღის ჩამორთმევის საქმე ვერ გვაქვს სწორ ნიადაგზე დაყენებული. იარაღის ჩამოსართმევათ გაიგზავნა აფხაზავას რაზმი, რომელიც აქაც ეჭვის ქვეშ იმყოფებოდა და რომელთანაც ჩვენ შეტაკება მოგვივიდა. აფხაზავას რაზმელებმა თურმე სულ დაყიდეს ჩამორთმეული იარაღი. ცხადია, ასეთ პირობებში ჯარისკაცი თავის ნებით არ დასთმობს იარაღს.

მაკაროვსკი მოითხოვს თვითეულ ჯარისკაცს მიეცეს ერთი ვინტოვკა და 120 პატრონა. ჩამოერთვას მხოლოდ ზედმეტი იარაღი.

კრებამ დაადგინა: იარაღის ჩამორთმევის საქმე გადაეცეს კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრს და მის ორგანოებს, დაუტოვონ თვითეულ ჯარისკაცს მხოლოდ ერთი ვინტოვკა და 120 პატ-

რონა; ჩამოერთვას მხოლოდ ზედმეტი იარაღი. ჯავშნიანი მატარებელი დარჩეს თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ხელში. მიმართონ მოწოდებით ეშალონებს, რომ მუსულმანთა დემოკრატიას არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს მათთან.

არჩეულ იქნა სამ კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიენდო ამ საკითხის გარშემო მომხდარ ამბების გამოძიება და დამნაშავეთა გამონახვა.

აფხაზავას რაზმი გაუგზავნია ეროვნებათა შეერთებულ სამხედრო საბჭოს. მას ჰქონია დავალებული იარაღი აეყარა მხოლოდ ერთი ეშალონისთვის: აფხაზავამ კი განაგრძო იარაღის აყრა. საბჭომ ის გამოიწვია უკან, მაგრამ აფხაზავა არ ბრუნდება.

ამის შემდეგ მოხდა არჩევნები. ცენტრის თავმჯდომარეთ ერთხმათ დასტოვეს ისევ ნოე ჟორდანია. პრეზიდიუმის დანარჩენ წევრთა არჩევნები გადაიდვა.

ეროვნებათა შეერთებული სამხედრო საბჭოს შესახებ ვრცელ სიტყვას ამბობს ამხ. მაკაროვსკი. იგი შეეხო საბჭოს წარმოების ისტორიას, აღნიშნა რომ საბჭო დღეს არ კმაყოფილდება მხოლოდ ტეხნიკური მუშაობით და პოლიტიკურ კითხვებშიაც ერევა. ეს ცენტრმა არა სასურველათ აღიარა და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „კავკასიის მუშათა ჯარ.-კაც. და გლეხ. დეპუტატების საბჭოთა ცენტრი საერთაშორისო სამხედრო საბჭოს სცნობს ტეხნიკურ ორგანიზაციათ სამხედრო ნაწილების მოწყობის საქმეში. ყველა პოლიტიკურ ხასიათის კითხვების გადაჭრაში საბჭო ხელმძღვანელობს ცენტრის დადგენილებით. არავითარი დამოუკიდებელი საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმა ეროვნებათა შეერთებულ სამხედრო საბჭოს არ შეუძლია, თუ ეს არ იცის ცენტრმა და ამიერ-კავკასიის კომისარიატმა. ამასთანავე ცენტრი ადგენს არჩეულ იქნას კომისია ეროვნებათა შორის სამხედრო საბჭოს რეორგანიზაციის მოსახდენათ“.

ჩრდილოეთ კავკასიაში მომხდარ ამბების შესახებ მოხსენება გააკეთა თერგის ოლქის კომისარმა ზვონარიოვმა. მან სთხოვა დახმარება ცენტრს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია კავკავის ამბები ამიერ-კავკასიაშიც გავრცელდესო.

ამ საკითხის განხილვა მიენდო საგანგებო კომისიას.

ნაციონალური საკითხი და ჩვენი დემოკრატია

რუსეთის დიდი რევოლიუცია ისეთ პირობებში დაიწყო და ისეთის ნაბიჯებით განვითარდა, რომ მის პროცესში ბევრი ახალი კითხვა დაისვა. ერთ ასეთ კითხვათ უნდა ჩაითვალოს ნაციონალური კითხვაც.

ეს კითხვა სრულიად მოულოდნელათ დაისვა დღის წესრიგში. რა თქმა უნდა, ჩვენ მას ნიჰილისტურად არ ვუცქერით და გვრწამს, რომ თუ კი პრინციპიალურათ ვაღიარებთ ერთა თვითგამორკვევას, მის ცხოვრებაში გატარებასაც უნდა ვსცდილობდეთ, მაგრამ ყველა დამეთანხმება, რომ წინათ, ესე იგი რევოლიუციის პირველ ხანებში, ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეროვნული საკითხის მოწესრიგება რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიას სხვა პირობებში მოუხდებოდა, მაგრამ ეს იყო მაშინ, როდესაც მთელი რევოლიუციონური რუსეთი ერთ მთლიან რევოლიუციონურ ფრონტს წარმოადგენდა და რევოლიუციაც ნორმალურის ნაბიჯით მიდიოდა წინ. დღეს პირობები შეიცვალა. რევოლიუციონური რუსეთი დაქუცმაცდა წვრილ ერთეულებათ, თვითეულმა ერთეულმა დროებით თავისი შინაური საქმეების გასაძღოლათ და რევოლიუციის გასამაგრებლათ თავიანთი მთავრობები შეადგინეს დროებით, იმ იმედით, რომ დღეს თუ ხვალ დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდა, რომელიც აღადგენდა რუსეთის მთლიანობას და რევოლიუციაც ისევ ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა. მაგრამ ბალშევიკების წყალობით ეს იმედი გაუცრუვდა რუსეთის დემოკრატიას. დამფუძნებელი კრება გარეკეს და მის ხელ-ახლა შეკრებას ახლო მომავალში აღარ უნდა ველოდეთ.

ამ მდგომარეობამ დემოკრატიას კვლავ დაუსვა მოულოდნელათ ნაციონალური საკითხი.

ყველას ახსოვს, თუ რა გაუგებრობა გამოიწვია ჩვენში პირველმა ქართულმა ეროვნულმა ყრილობამ და ეროვნული საბჭოს დაარსებამ. ნაციონალისტებმა იფიქრეს, ეს არის სოციალ-დემოკრატიამ მიჰყო ხელი ჩვენი მისწრაფების განხორციელებასო, ბალშევიკებმა კი ახალი სადემაგოგიო მასალა გაიჩინეს და იქამდის მივიდნენ, რომ კავკასიის სოციალდემოკრატიის ბელადები ნაციონალისტებათ მონათლეს.

ჩვენ მუდამ ასე ვაყენებდით კითხვას: ჯერ უნდა მოხდეს საერთო განთავისუფლება მთელი რუსეთის ხალხისა თვითმპყრობელობისაგან და შემდეგ კი თავისუფალ რუსეთში თავისუფალი იქნება თვითეული ერი. ყველამ დაინახა, ვინც პოლიტიკურათ ბრმა არ არის, რომ ცხოვრებამ ჩვენი შეხედულება გაამართლა. მაშასადამე თვითეული შეგნებული პარტიის წევრისათვის უმთავრეს საზრუნავს შეადგენდა მთელი რუსეთის განთავისუფლება და ეროვნულ საკითხსაც იმდენათ ეხებოდენ, რამდენათაც ამას მოითხოვდა საერთო პირობები.

ჩვენს პროგრამაში არის მუხლები ნაციონალური საკითხის შესახებ. ეს პროგრამა მიღებულია 1903 წელში, ესე იგი იმ დროს, როდესაც ჩვენი პარტიის მოღვაწეობის უმთავრეს საგანს შეადგენდა მთელი რუსეთის ხალხის განთავისუფლება. ეროვნული საკითხის შესახებ იმ დროს დაწვრილებით პროგრამმის გამომუშავება საჭირო არ იყო. პროგრამაში შეტანილია სამი მუხლი, რომელიც ეხება საკითხის მხოლოდ პრინციპიალურ მხარეს. კერძოთ ჩვენში, მეექვსე პარტიულმა საოლქო ყრილობამ პროგრამაში შეტანილი მუხლები ვრცლათ განმარტა და მიიღო თეზისები, სადაც ვრცლათ გამომუშავებულია ეროვნული საკითხის მოწესრიგების გეგმა ამიერ კავკასიაში.

ამ ვრცლათ გამომუშავებული გეგმის გაცნობა ძლივს მოასწრო დემოკრატიამ, რომ ცხოვრებამ ამ გეგმის ნაწილის რეალური განხორციელება მოითხოვა. ჩვენ ვხედავთ, რომ ეროვნულ ყრილობას სოციალ-დემოკრატია დაეპატრონა და ამ ყრილობაზე სავსებით იქნა მიღებული ის რეზოლიუცია და გეგმა, რაც VI პარტიულმა ყრილობამ მიიღო. ამის შემდეგ თუ ვინმემ გადამახინჯებულათ გაიგო ეროვნულ ყრილობაზე სოც.-დემოკრატიის მუშაობა, ეს იმას ამტკიცებს, რომ ის ნაკლებათ იცნობს ჩვენს პროგრამას...

დღეს რევოლიუცია კრიზისს განიცდის. აქამდის თუ კავკასია დაცული იყო სამოქალაქო ომისა და ანარქიისაგან, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ორმა მტერმა აქაც იჩინა თავი. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა, რომელიც დაარსებული იყო დროებით დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, პირნათლათ შეასრულა თავისი მოვალეობა, მაგრამ რაკი დამფუძნებელი კრების ბედი გადაწყდა დროებით მაინც, ადგილობრივ მთავრობის მოწესრიგებაც სხვა საფუძველზე უნდა მოხდეს. ასეთი დადგენილება უკვე მიიღეს ჩვენმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა და მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების საოლქო ცენტრმა. გადაწყვეტილია მოწვეულ იქნას ამერ-კავ. სეიმი დამფუძნებელ კრების დეპუტატებისაგან. შემდეგ, რასაკვირველია, თვითეული ერი მოაწყობს საკუთარ თვითმართველობებს შინაურ საქმეებისათვის. შემდეგ კი, როდესაც თვითეული ერთეული ასეთის მოწყობით შესძლებს რევოლიუციის გამაგრებას, უნდა მიღებულ იქნას ზომები სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის და ცენტრალური მთავრობის შექმნისათვის. ამას მოითხოვს დღეს რევოლიუციის ინტერესები. ერთი სიტყვით უკანასკნელმა ამბებმა მოულოდნელათ შექმნა მომენტი, როდესაც პარტიულ სიეზდის მიერ მიღებული გეგმა ნაციონალურ საკითხზე, სავსებით უნდა გატარდეს ცხოვრებაში.

ვიქტორ ნინიძე.

ამხანაგებო! დააჩქარეთ გაზეთზე ხელის მოწერა. გაავრცელეთ თქვენი ინტერესების დამცველი გაზეთი „ერთობა“.

მუშათა წერილები

წითელი გვარდია.

ეს სახელი დღეს ყველას პირზე აკერია. რუსეთის უმაგალითო რევოლიუციამ მრავალი ახალი ინსტიტუტები წარმოშვა. წინეთაც ვიცნობდით ჩვენ რევოლიუციონურ რაზმებს, მაგრამ ახლანდელი წითელი გვარდიისთანა არა დროს არ გვყოლია.

რა თქმა უნდა აქ გარეშე მიზეზებს აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ფაქტი ფაქტათ რჩება. ამ ჟამად მე ვლაპარაკობ თბილისის წითელ გვარდიაზე, მე ჯერ შორსა ვარ ამ უკანასკნელის ქებისაგან, ვინაიდგან როგორც რევოლიუციონურ სამხედრო ერთეული ჯერ სრულიათ ჩამოყალიბებული არ არის, მაგრამ ამ ცოტა ხანში მან უკვე ბევრი გააკეთა. მე ვადარებ თბილისის წითელ გვარდიას პეტროგრადისას, და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ პირველმა ჯერჯერობით პირნათლათ შეასრულა თავის დანიშნულება. იმ დროს, როდესაც პეტროგრადში წითელ გვარდიელები უბირ ხალხსა ხვრეტენ და დამფუძნებელ კრებას ერეკებიან, აქ, ამ მრავალფეროვან ქალაქში პირიქით იქცევიან: ხალხს იცავენ ყოველგვარ ძალმომრეობისაგან და კანონიერ ორგანოებს ყოველ გვარ თავდასხმისაგან უზრუნველ ყოფენ.

ჩვენდა სასიქადულოთ თფილისის მრავალ-ჭირნახული მუშები სრულის შეგნებით შეხვდენ წითელი გვარდიის შედგენას. ყველამ კარგათ უწყის, თუ რას ნიშნავს დღეს იარაღის ხელში აღება და ქუჩაში გამოსვლა... თუმცა დღეს გვიხდება ბევრჯერ ჩვენთვის არაპირდაპირო მოვალეობის ასრულება, მაგრამ ეს ხდება იმიტომ, რომ შევინარჩუნოთ რევოლიუციონური და მოქალაქეობრივი მშვიდობიანობა. ყოველ გვარდიელს მშვენივრათ ესმის, თუ რა უბედურება დაატყდება იპირველესად ყოვლისა რევოლიუციონურ დემოკრატიას, თუ გამეფდა ანარქია ქალაქში... „წყეული“ ბურჟუაზია თვალის იქით მიფარებულია იმ დროს, როდესაც ანარქიის მსხვერპლი უპირველესად ყოვლისა დაბალი კლასი ხდება. ქ. კავკავის ამბები ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა, იქ დღისით ხდება ყოველივე ძარცვა-გლეჯა, მაგრამ წესიერების აღმდგენელი არავინ არის. ასე იქნება და მოხდება აქაც, თუ ენერგია არ გავიათკეცეთ. არავითარი ზომების წინაშე არ უნდა დავიწიოთ, რომ შევინარჩუნოთ რევოლიუციონური წესი.

ათას ცეცხლში გამოვლილმა თფილისის მუშებმა სამაგალითო გვარდია უნდა შევქმნათ სხვისთვის სანიმუშოთ, მაშ წინ მედგრათ ამხანაგებო, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ მომავალ ბედსა ვქედთ. გაუმარჯოს თფილისის წითელ გვარდიას.

ს. მაისურაძე.

კაპიტალიზმის აღორძინება და იმპერიალისტური ლტოლვილებანი გერმანიაში

მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიაში სჭარბობდა მიწათ მოქმედება და ხელოსნური წარმოება. მე-60-ცე წლებში გერმანიაში დამთავრდა გერმანიის საბაჟო კავშირი და ამით საფუძველი ჩაეყარა ამ სახელმწიფოში ეკონომიურ გაერთიანებას. ამ დროდან გერმანიის მსხვილი მრეწველობა ჩქარის ნაბიჯით ვითარდება. ეკონომიურ გაერთიანებას თან მოჰყვა გერმანიის ნაციათა გაერთიანება. ბისმარკმა დანიას წაართვა ნემეცური პროვინციები: შლეზვიგ-გოლშტინია, პრუსიას შეუკავშირა ჰანნოვერი და ესსენი; მანვე დაარსა ჩრდილოეთის კონფედერაცია. 1866 და 1871 წ.წ. ომებამდე გერმანია შესდგებოდა პატარ-პატარა დანაწილებული სამთავროებიდან, რომელნიც დამოკიდებულნი იყვნენ მთელი რიგი დიდი სახელმწიფოებისაგან. საფრანგეთი, რუსეთი, ავსტრია, შვეცია, აი ის სახელმწიფოები, რომელთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ეს სამთავროები. ამ ომების შემდეგ გერმანია ხდება დამოუკიდებელ სახელმწიფოთ.

კაპიტალიზმის განვითარების პირველი ხანა იმით ხასიათდება, რომ თითქმის მთელი კაპიტალი იხარჯება გაცვლა-გამოცვლის და საქონლის გადაზიდვის დარგებში. ასე მოხდა გერმანიაშიაც: 1851—1870 წ. წ. ე. ი. ოცი წლის განმავლობაში სხვადასხვა დარგებში დაბანდებული სააქციო კაპიტალი უდრიდა 2,250 მილიონ მარკას. ამ ფულიდან მხოლოდ 275 მილიონი მ., ანუ 12 პროც. მოხმარდა სამთამადნეულო მრეწველობას. დანარჩენი კაპიტალი კი დაიხარჯა რკინის გზების, ბანკების და დამზღვევ საზოგადოებების ასაღორძინებლათ.

1871—74 წ.წ. ე. ი. ოთხი წლის განმავლობაში წარმოიშვა სულ ახალი სააქციონერო წარმოებები, რომელთა თანხა 3.306 მილიონ მარკას შეადგენდა. ამავე დროს თანხის მეტი ნაწილი უკვე წარმოებაში იხარჯებოდა. თუმცა ამ გაცხარებულ საწარმოო მუშაობას მალე კრიზისი დაატყდა თავს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, გერმანიის მრეწველობა მაინც არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდებოდა. მეოთხმოცე წლებში სამთამადნო წარმოებაში უკვე ერთი მესამედია დაბანდებული მთელი იმ დროის სააქციონერო თანხებისა, ხოლო მეოთხმოცდა ათე წლებში კაპიტალმა მტკიცეთ მოიკიდა ფეხი ისეთ სამრეწველო დარგებშიაც, სადაც მანამდე ხელოსნური წარმოება ბატონობდა.

თუ რა სისწრაფით ვითარდებოდა გერმანიის მრეწველობა, ამას გვიჩვენებს შემდეგი სტატისტიკური ცნობები: 1850 წ. გადადუღებულ (выплавленный) თუჯის რაოდენობა უდრიდა 350.000 ტონნას. 1900 წელს კი ის შეადგენდა 8 მილიონ ტონნაზე მეტს.

1902 წლიდან გერმანიის თუჯის წარმოება უსწრებს ინგლისისას. ამავე წელს გერმანიის მსხვილი მრეწველები დიდის ზეიმით დღესასწაულობენ ამ უმაგალითო გამარჯვებას ინგლისის მრეწველობაზე. ყოველ წლიურათ დამზადებული მინერალურ და მეტალურგიულ ნაწარმოების რაოდენობა მესამოცე წლებში უდრიდა დაახლოვებით 26 მილიონ ტონნას. მე-19 საუკუნის უკანასკნელ წლებში კი ის 160 მილიონ ტონნას აღემატებოდა. აღნიშნულ ნაწარმოების ღირებულება მე-60 წლებში უდრიდა 150 მილიონ მარკას, ომის გამოცხადების წინ კი ოთხ მილიარდ მარკას აღემატებოდა. ყოველ წლიური ქიმიური წარმოება, რომელიც ერთი უმთავრესი დარგთაგანია გერმანიის ინდუსტრიისა, იძლევა 1.250 მილიონ მარკის ღირებულ ნაწარმოებს, ელექტრონის წარმოება, რომელიც წარმოიშვა დაახლოვებით ოცდა თხუთმეტი წლის წინათ, ამ უკანასკნელ წლებში ხმარდებოდა 625 მილიონი მარკის კაპიტალი.

გერმანიაში 1913 წელს ითვლებოდა 300.000 მეტი ფაბრიკა-ზავოდები, სადაც მუშაობდა არა ნაკლებ 6 ნახ. მილიონ მუშებისა.

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია სავაჭრო ფლოტის და რკინის გზის განვითარება. გერმანიის სავაჭრო გემთა რაოდენობა 1890—1891 წ. უდრიდა 689, 1906—1907 წ. კი 1851. ომის დაწყებისას კი გერმანიის ფლოტს ეკავა, ინგლისის შემდეგ, პირველი ადგილი მთელს დედა-მიწის ზურგზე. რკინის გზის ლიანდაგის სიგრძე გერმანიაში 1857 წ. უდრიდა 30.000 კილომეტრს. 1905 წ. კი მის სიგრძემ მიახწია 96.000 კილომეტრს, ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ორი-მესამედი ამ გზებისა ეკუთვნის სახელმწიფოს და მის ექსპლოატაციას მოაქვს ყოველ წლიური მოგება არა ნაკლებ 6—700 მილიონ მარკისა.

ვაჭრობა-მრეწველობის განთვითარებასთან ერთად გერმანიაში ჩაესახა ახალი გავლენიანი კლასი, კლასი მსხვილ კაპიტალისტებისა. მისი გავლენა დღითი დღე იზრდება სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში თავად-აზნაურობის გვერდით. თუმცა ნაპოლეონმა ამ უკანასკნელების გავლენა გააქარწყლა, მაგრამ ნაპოლეონის ომების შემდეგ ისინი ნელნელა მოღონიერდენ და საუკეთესო ადგილები დაიკავეს სახელმწიფოებრივ მექანიზმში. გერმანიის გაერთიანების შემდეგ ბისმარკის პოლიტიკა იქით იყო მიმართული, რომ მსხვილ თავადობას შერჩენოდა გავლენა იმდენათ, რამდენათაც ეს თავადობა საჭირო იყო პრუსიის ტახტის დასაცავათ მის ბრძოლაში ახლათ ჩასახულ დემოკრატიის წინააღმდეგ. რაც შეეხება წვრილ აზნაურობას, ის თავის უფლებათა დასაცავათ შეკავშირდა ჯერ კიდევ 1820 წელს „Adelskette“-ს საზოგადოებაში და ჩქარა მოიპოვა დიდი გავლენა. ბისმარკი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ მათთვის მიეცა საუკეთესო ადმინისტრატიული და სამხედრო ადგილები, რადგან ამ წვრილ აზნაურობაში ის ხედავდა მეფის ტახტის საუკეთესო დამცველებს მსხვილ თავათ-აზნაურობის წინააღმდეგ.

გერმანიის წარმოების ზრდა-განვითარებას მოჰყვა საგარეო ვაჭრობის ინტენსიური განვითარება. გერმანიის საქონელი განსაკუთრებით ევროპის ბაზარზე საღდებოდა. 1899 წ. გერმანიიდან დიდ ბრიტანეთში გატანილ იქნა 851,6 მილიონ მარკის საქონელი, ჰოლანდიაში—327,7 მ. მ., შვეიცარიაში—284,7 მ. მ.. საფრანგეთში 216 მ. მ. და სხ. უკანასკნელ წლებში გერმანიიდან საქონლის გაზიდვამ ევროპის ბაზარზე კიდევ უფრო იმატა. 1900 წ. ინგლისმა ევროპის ბაზარზე გაიტანა 3.100 მ. მ. საქონელი, იმავე წელს გერმანიამ გაიტანა 3.700 მ. მ. 1911 წ. კი გერმანიამ სრულიათ დაამარცხა ინგლისი ევროპის ბაზარზე.

ახლა ვიკითხოთ, რითი აიხსნება ასეთი სწრაფი განვითარება გერმანიის საგარეო ვაჭრობის? როგორ შესძლო გერმანიამ, რომლის საგარეო ვაჭრობა მეტათ სუსტი იყო ოცდა ათიოდე წლის წინათ, ინგლისის და სხვა დიდი სახელმწიფოების დამარცხება ევროპის ბაზარზე?

ფრიდრიხ ლისტი, გერმანიის პროტექციონიზმის მედგარი დამცველი ამტკიცებდა, რომ ნორჩი ინდუსტრიის განვითარებისთვის აუცილებელია პროტექციონული სისტემა. როგორც კი ინდუსტრია მოღონიერდება, ფეხს მოიკიდებს—ამბობდა ლისტი—პროტექციონიზმი თავის მნიშვნელობას კარგავს და თავისუფალ ვაჭრობას უნდა დაეთმოს ადგილიო. გერმანიის სავაჭრო პოლიტიკამ ადრე მოუღო ბოლო მაღალ პროტექციონულ სისტემას; 1862 წ. მოხდა სავაჭრო ხელშეკრულობა გერმანიის საბაჟო კავშირსა და საფრანგეთს შორის. ამ დროდან ეცემა საბაჟო ტარიფი. მოღონიერდა რა გერმანია იმდენათ, რომ მას დაუბრკოლებლივ შეეძლო ბრძოლის წარმოება საერთაშორისო ბაზარზე საფრანგეთის და ინგლისის მრეწველობასთან, ადამიანს შეეძლო ეფიქრა, რომ გერმანიაში შეიძლება ვაჭრობის სრული თავისუფლების შემოღება. და მართლაც, 1877 წელს გერმანიაში არსებობდა მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთები საბაჟო ტარიფებისა. მაგრამ 1879 წლიდან ეტყობა ჩქარი ზრდა საბაჟო ტარიფებს. პროტექციონიზმის თავგამოდებულ დამცველებს კარგათ ესმოდათ თუ რა სარგებლობას მოუტანდა მათ პროტექციონიზმის გაძლიერება. პროტექციონულ სისტემამ საშუალება მისცა კონკურენტ ქვეყნების საქონლისთვის გერმანიის კარები დახურულიყო. ეს კიდევ არაფერი. ამ სისტემის წყალობით მოხდა საერთაშორისო ბაზრის დაპყრობა.

გერმანიის საბაჟო ტარიფმა ან მთლათ ჩაჰკლა საგარეო კონკურენცია შინაურ ბაზარზე ან უკეთეს შემთხვევაში შეასუსტა ის შიდა ბაზარში და ამით საშუალება მისცა გერმანიის მსხვილ მრეწველებს გერმანიის საქონელი გაეყიდათ საზღვარ-გარეთ ბევრათ უფრო იაფათ, ვინემ თვით გერმანიაში. ამით ჩაღრჩობილ იქნა საზღვარ-გარეთის კონკურენცია და გაბატონდა საზღვარ-გარეთის ბაზარზე. რომ ეს აზრი ნათელ ვყოთ მე მოვიყვან ერთს მაგალითს. გერმანიის მრეწველნი უკანასკნელ წლებში ტონნა რკინას გერმანიაში ჰყიდიდენ 130 მარკათ; შვეიცარიაში—120—125 მ., ინგლისში და სამხრეთ ამერიკაში 103—110 მ., იტალიაში 75 მარკათაც. ვერც ერთი ჩამოთვლილი სახელმწიფო, რკინეულობის წარმოების საუკეთესო მცოდნეთა მტკიცებით, ვერ გაყიდის რკინას ასეთ დაბალ ფასებში, რადგან თვით მწარმოებელს ტონნა რკინა უჯდება არა ნაკლებ 85—95 მ. გერმანიის მრეწველები საერთაშორისო ბაზარს აწვდიან საქონელს დაბალ ფასებში, სამაგიეროთ დიდ ფასებში ჰყიდიან თავის საკუთარ სამშობლოში. რასაკვირველია, ეს მძიმე ტვირთათ აწვება უპირველეს ყოვლისა ფართე მასსას, სახელდობრ: ქალაქის მუშებს და სოფლის მშრომელ ხალხს, მაგრამ ეს არ აწუხებს მრეწველობის მეფეებს.

(შემდეგი იქნება).

ი. სალაყაია.

აჩრდილი

შავსა ღამეში...
მომაკვდავთ, მკვდრებში;..
უმთვარო იყოს,
თუნდ მთვარიანში,
ქალაქში, სოფელს—
იქნევს მახვილ ცელს,
ტკაც-ტკაცი გააქვს
სხეულისა ძვლებს...
დამდევს, დამცინის,
შემომხვევს ხელებს,
მიკრეჭავს კბილებს,
მეტყვის, მამხილებს:
მე ვარ შიშილი,
კაწ, კაწ! ხი-ხი-ხე!
ჩემთვის ერთია
მოხუცი, ჩვილი...
ნუ მემდურები,
ნუ, ნუ დამძრახე.
მე ვარ სიკვდილი,
მეფე და ღმერთი,
კვნესა, ტირილი,
არა სიცილი...
ჩემთვის ერთია:
თავს მოვსჭრი ყველას,
ნურვინ მოელის
ჩემგნით ხსნა, შველას.
ხი-ხი-ხი, ხა-ხა!
მე ვარ დიდება,
წინ ვერაფერი
ვერ აღმიდგება...
ტკაც, ტკაც!—ძვალები
მოხმაურობენ,
შიშილ-ტყვიებით
საფლავს ავსებენ...
მარსი ვერ ძღება,
სიცოცხლე ჰქრება...
როდის დადგება დრო—შერიგება!?
ძმური ერთობა,
კაცთა მშვიდობა!?
შავსა ღამეში
თუნდა მთვარეში,
ქალაქში, სოფელს
აქნევს მახვილ ცელს,
ტკაც-ტკაცი: გააქვს
სხეულისა ძვლებს,—
სიკვდილი გაშლის
სიხარულით ფრთებს!

დ. მეჩონგურე.

რუსეთის ამბები

მოსკოვის საქალაქო ს. დ. კონფერენციამ დიდის ხმის უმეტესობით დაადგინა გარიცხონ პარტიიდან ვინმე მარტინოვი, რომელიც მოსკოვში ოქტომბერში მომხდარი შეტაკების დროს „თეთრ გვარდიაში“ ჩაეწერა. მარტინოვმა თავის გასამართლებლათ სთქვა: მომხდარი ამბავი არ არის პროლეტარიატის გამოსვლა, არამედ—ეს ჯარის კაცების და ლუმპენ-პროლეტარების „ბუნტია“, რომელიც მიმართულია დამფუძნებელი კრების წინააღმდეგო. მსგავსად 1905—06 წლებისა, როცა მე თოფით ხელში მივდიოდი დამრბევთა წინააღმდეგ, თუმცა მათში მუშები ერივნენ, ისე ახლაც, თავის მოვალეობათ მივიჩნიე იარაღით ხელში წავსულიყავი იმათ წინააღმდეგ, ვინც ძალადობას ახდენს რევოლიუციაზე და მთელს სახელმწიფოზეო. საქმის გამოსარკვევათ არჩეული კომისიის წევრმა კრებას ასეთი წინადადება მისცა: „ვინაიდან მარტინოვი შეიარაღებულ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას მუშების წინააღმდეგ, რაც არ ეპატიება სოციალ-დემოკრატს და ამასთანავე, მან დაარღვია პარტიული დისციპლინა, გარიცხული იქნას ორგანიზაციიდანო“. კრებამ ეს წინადადება მიიღო. გარიცხულს უფლება აქვს პარტიულ ყრილობაზე გაასაჩივროს საქმე.

სიზრანში (პენზის გუბ.) მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ იარაღი აჰყარა 4 პოლკს.

ეკატერინბურგის მუშ. და ჯარისკაცთა საბჭომ წითელი გვარდიელები გაგზავნა პეტროგრადში სახალხო კომისარების განკარგულებაში.

ნოვოჩერკასკში შეგროვილ აფიცრებისა და იუნკრებისაგან ცალკე კორპუსს ადგენენ.

უკრაინის რადის სამხედრო შტაბი და გენერალ შჩერბაჩევის შტაბი საბოლოოდ შეერთდენ. სამხრეთ დასავლეთის არმიის რადიოტელეგრამა რუმინიაში უკრაინულმა ჯარებმა დაიკავეს. უკრაინაში მცხოვრები თავისუფალი კაზაკების მობილიზაცია გამოცხადდა.

ტომსკში დამთავრდა საოლქო ყრილობა საქარხნო კომიტეტებისა, სხვათა შორის განიხილეს კონტროლის და დემობილიზაციის საკითხები.

შეთქმულობა დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ*)

ბალშევიკების დემაგოგები არ მალავენ თავიანთ განზრახვას, რომ გარეკავენ დამფუძნებელ კრებას, უკეთუ ის არ იქნება ბალშევიკების პოლიტიკის ცხოვრებაში გამტარებელი.

არა გვგონია, ვისმე ეჭვი შესდიოდეს იმაში, რომ დამფუძნებელ კრებაში ლენინელები და მათი მიმდევრები უმრავლესობას ვერ გაიყვანენ დეპუტატებათ. რუსის ხალხის სოციალური შემადგენლობა, ამ ხალხის მშრომელთა მასსაში წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების და სხვა საშუალო კლასების სიჭარბე, შეუძლებლათ ხდის ამრჩეველთა უმრავლესობის იმ პარტიის მხარეზე გადასვლას, რომელიც საჩქაროდ სოციალისტურ გადატრიალებას ქადაგებს და პროლეტარიატის დიქტატურას აცხადებს. ისეთი პარტიები, რომლებიც დამოუკიდებლათ გამოხატავენ გლეხთა და „მეშჩანთა“ დემოკრატიის ინტერესებს, ალბათ, უფრო მრავლათ იქნებიან წარმოდგენილი დამფუძნებელ კრებაში, ვინემ ბალშევიკები.

ასეთ პირობებში დამფუძნებელი კრების უფლების შესახებ დავა, რომელშიაც ბალშევიკები უმცირესობაში იქნებიან, ნიშნავს სამოქალაქო ომის გაჩაღებას პროლეტარულ მასსებსა და არა პროლეტარულ დემოკრატიის შორის და ამ უკანასკნელის წინააღმდეგ კლასიური დიქტატურის დროშის აფრიალებას; მარქსის აზრით კი, ჩაიგდებს რა ძალაუფლებას ხელში პროლეტარიატი, უნდა განახორციელოს ეს დიქტატურა **კაპიტალისტთა კლასის** წინააღმდეგ.

პარიზის დემოკრატიის უღარიბეს ნაწილის დიქტატურა მთელი საფრანგეთის წინააღმდეგ იყო სანკიულოტების (უშარვლოების) ტერორის რეჟიმი 1793—94 წლებში, როდესაც ჩაახრჩვეს მაშინდელი დამფუძნებელი კრება (კონვენტი) შეიარაღებული ძალით. მაგრამ რობესპიერის და მარატის მომხრენი, ატარებდენ რა ცხოვრებაში ტერორს და ანხორციელებდენ სანკიულოტების (უშარვლოების) დიქტატურას, სრულიადაც არ ჰქონდათ თავი წარმოდგენილი იმ კლასის წარმომადგ., რომელსაც განსაზღვრული პოლიტიკური მომავალი ჰქონდა და მომენტის პოლიტიკას ამ მომავლის და მის ინტერესებს უმორჩილებდა. ლენინ-ტროცკი და მათი მიმყოლი ბალშევიკი მუშები კი, თავს სოციალდემოკრატებს უწოდებენ, რომელთათვის ყოველგვარი რევოლიუციონური გადატრიალება არის მხოლოდ ერთი საფეხურთაგანი პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული მოძრაობისა.

პროლეტარული მოძრაობის საერთო ინტერესების მთლიანად გაგება ეუბნება სოციალ-დემოკრატებს, რომ პროლეტარიატის განთავისუფლების საქმე შეიძლება იყოს მთელი რიგი სოციალური რყევა-ნგრევისა, რაიც ხდება დრო გამოშვებით იმის მიხედვით, თუ რამდენათ დაგროვდა მასსის ძალა-შეგნება და განმტკიცდა მისი ორგანიზაცია. წარმოვიდგინოთ, რომ ახლანდელი რუსეთის რევოლიუცია სოციალისტური გარდაქმნის დასაწყისია, როგორც ამას ამტკიცებენ ბალშევიკები. მაგრამ ტროცკი არა ერთხელ ყოფილა იმის მომხრე, რომ პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება და სოციალიზმის უზრუნველყოფა შედეგია ცვალებადობის, გამარჯვება-დამარცხების, რევოლიუციონური ტალღების ამაღლება-დაშვების, რევოლიუციის მომენტებისა და ნელი, მშვიდობიანი კლასობრივი ბრძოლისა. და ის პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს მთელი მოძრაობის საერთო ინტერესებით, არ შეუძლია რევოლიუციის ხანაში დაივიწყოს მისი კლასის მომავალ ნელ და მშვიდობიან ბრძოლისა. მაშასადამე, რევოლიუციის ხანაში არ უნდა იქნას ნახმარი ისეთი მეთოდები, რომლებიც ბრძოლის შემდეგ პერიოდში კლასობრივი ბრძოლის იარაღათ გახდება პროლეტარიატის მტერთა ხელში. უმცირესობის დიქტატურის მეთოდი უმრავლესობაზე, მოქალაქეთა ნების ხიშტების ძალით ჩახშობა, შელახვა თავისუფალ საყოველთაო საარჩევნო უფლე-

---

*) ეს წერილი დაიბეჭდა სანამ ბალშევიკები დამფუძნებელი კრების თათბირს გარეკავდენ ნოემბერში.

ბისა, სახელმწიფო ძალა-უფლების ადგილობრივ თვითმართველობათა წინააღმდეგ მტარვალურათ მიმართვა, ერთი სიტყვით, ისეთი მეთოდების ხმარა, რომლებიც საბჭოთა დიქტატურის იდეას შეიცავენ დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ, ძირიან-ფესვიანათ ეწინააღმდეგება პროლეტარიატის ძირითად ინტერესებს, როგორც ისეთი კლასისას, რომელსაც განსაზღვრული ისტორიული მომავალი აქვს, რომელსაც მთელი რიგი ნაბიჯებისა უდგას წინ გასავლელათ, სანამ ის გამარჯვებამდე მიაღწევდეს. ვინაიდან მთავარი იარაღი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა არის თანდათანობით ცხოვრებაში დემოკრატიის პოლიტიკის გატარება, ფართო მოქალაქობრივი თავისუფლებანი, კოალიციის განუსაზღვრელი თავისუფლება, უმრავლესობის ნების უმცირესობაზე ბატონობა. ვინც წუთიერი გატაცებით ვნებას აყენებს ამ იარაღს, ის სჭრის იმ ტოტს, რომელზედაც ზის პროლეტარიატი.

რობესპიერმა და მისი უშარვლოებმა (სანკიულოტი) არ იცოდენ, როცა ძალადობას ხმარობდენ დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ (კონვენტზე), რომ იმ მუშებს, რომელთა ინტერესების დაცვას იგინი ჩემულობდენ, მთელი 50 წლის განმავლობაში ბურჟუაზია არ მისცემდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას, რომლის იდეა მაშინ ხალხში ისე შეიბღალა. მათ არ იცოდენ, როცა კონვენტს გარეკით ემუქრებოდენ, რა თქმა უნდა, ხალხის ნების სახელით, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მოვიდოდა ნაპოლეონ ბონაპარტი და იმავე ხალხის ნების სახელით გარეკავდა პარლამენტს, რათა განემტკიცებია თავისი პირადი დიქტატურა. მათ არ იცოდენ, რომ საფრანგეთის მუშებს მთელი საუკუნის განმავლობაში მოუხდებოდათ იმ სამოქალაქო თავისუფლებათა ცოტ-ცოტათი მოპოვება, რომელიც სანკიულოტებმა (უშარვლოებმა) ტლანქათ დაანგრიეს, რაც ყველა სხვა კლასებსაც შეეხებოდა.

ლენინმა და ტროცკიმ ეს იციან, მათ ეს უნდა იცოდენ. ნთქავენ რა ამ სახით სამოქალაქო თავისუფლებას და უარყოფენ ხალხის უმრავლესობის ნებას, რაც გამოიხატება დამფუძნებელ კრებაში, მათ შეგნებულათ მიაქვთ პროლეტარიატის მომავალი წუთიერი გამარჯვების სამსხვერპლოზე. ისინი ატყუილებენ პროლეტარიატს, როცა მას შთააგონებენ, თითქოს მისი ინტერესი იყოს პოლიტიკური დემოკრატიის ჩახშობა იმ ჩამორჩენილ ქვეყანაში, რომელიც ერთი წლის წინათ თვითმპყრობელობის მონობის ქვეშ იხნიქებოდა.

შეგნებული სოციალისტური პროლეტარიატი ვერ გაბედავს დაივიწყოს თავისი მომავალი, ვერ გაბედავს არ იცოდეს ის, რაც არ იცოდენ პარიზის ბნელმა უშარვლოებმა (სანკიულიტი) საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს. ეს იმიტომ უნდა იცოდეს პროლეტარიატმა, რომ **დღეს**, ერთი თვალის დახამხამებაში, მილიონობით შეიარაღებული ჯარისკაცნი, რომელნიც ომის მიზეზით მოსწყდენ გლეხურ ცხოვრებას, მზათ არიან ხიშტებით ხელში მხარი დაუჭირონ უკიდურეს მემარცხენე პარტიათა მოთხოვნებს. შეგნებულ მუშებს არ შეუძლიათ დაივიწყონ, რომ პროლეტარიატი რუსეთში უმცირისობაა და ამ უმცირესობის ნების დემოკრატიული უმრავლესობისთვის თავზე მოხვევა ნიშნავს ძირის გამოთხრას და დაღუპვას ყველა იმ თავისუფლებათა და დემოკრატიულ უფლებათა, რომელთა შემწეობითაც შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს თვისი გასანთავისუფლებელი წარმარტებით ბრძოლის წარმოება.

ტროცკები და ლუნაჩარსკები გუშინ სჩიოდენ, როცა ბურჟუაზია არღვევდა მათ შესახებ სამოქალაქო თავისუფლების პრინციპებს, დღეს კი ესენი კინწის კვრით მიერეკებიან ყველას, ფეხ-ქვეშ თელავენ დემოკრატიულ, და მათ რომ არ მოსწონთ ისეთ მოქალაქეთა უფლებებს, თუმცა მათ იციან, რომ ხვალ მათვე მოუხდებათ ამ უფლებათა და თავისუფლების თავის სასარგებლოთ გამოყენება, რისთვისაც მათ სხვას უნდა მიმართონ. პოლიტიკური ავანტიურსტები ამ შემთხვევაში პირველად არ დალევენ წყალს იმ ჭიდან ამოღებულს, სადაც მათ წინასწარ ჩააფურთხეს, მაგრამ მუშათა კლასს არ შეუძლია ასეთი უპრინციპობის პოლიტიკას გაჰყვეს. ვიდრე ის კისრიდან არ მოიშორებს კაპიტალიზმის უღელს, დატანჯულ კლასს, არ შეუძლია აფურთხოს დემოკრატიული პრინციპების ჭაში, რომელი პრინციპების სახელითაც ხვალ-ზეგაც მას მოუხდება ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან მოთხოვნა თავისუფლებისა თვისი კლასობრივი ბრძოლის საწარმოებლათ.

დემოკრატიის შორის წარმოებული სამოქალაქო ომი წარმოუდგენელია ხალხის ნების პრინციპების ძალადობით გაუთელავათ. ამ ნების გათელვა კი, რომელიც გამოხატულებას ჰპოვებს დამფუძნებელ კრებაში, იქნებოდა რუსეთის სოციალისტური პროლეტარიატის **თვითმკვლელობა**. მხოლოდ წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან კავშირით შეუძლია პროლეტარიატს რევოლიუციის ხსნა. და ამ კავშირის აღდგენა, მისი გამაგრება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებელი კრების საშუალებით. აქ არა-პროლეტარულ დემოკრატიას ასარჩევათ ექნება - ცენზიანებთან წავიდეს უკიდურეს მემარცხენეთა წინააღმდეგ თუ, პირიქით, უკიდურეს მემარცხენეებს გაჰყვეს ცენზიანების წინააღმდეგ. მაგრამ პროლეტარიატთან სიარული, რომელიც მცხოვრებთა უმცირესობას შეადგენს, არ ნიშნავს არა-პროლეტარულ დემოკრატიისათვის მორჩილათ კუდში გაყოლა. ასეთი პრეტენზიებით სოციალდემოკრატია უეჭველათ გადაისროლიდა წვრილ ბურჟუაზიულ მასსას კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. ამ საქმეს ემსახურებიან ლენინი და ტროცკი და ამით პროლეტარიატს დანგრევას უმზადებენ. კავშირი მუშათა კლასს და სხვა ნაწილებს შორის შეიძლება მხოლოდ სწორ-უფლებიან საფუძველზე საერთო, მთელი დემოკრატიისათვის რევოლიუციონური მიზნებისათვის. ვინც ნებსით თუ უნებლიეთ მონაწილეობას იღებს დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულობაში, ამით ის ხელს უწყობს კორნილოვის შეთქმულობას პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ლ. მარტოვი.

კლასიონ ლ. მელაძე

ამ დღეებში ს. მათხოჯში (ხონის რაიონი) მიწას მიაბარეს ჩვენი საუკეთესო ამხანაგი კლასიონ მელაძე, რომელიც რამდენიმე დღის უკან ვერაგულათ მოჰკლეს შანტაჟისტებმა ქ. სოხუმში.

კლასიონი იშვიათი და სამაგალითო პიროვნება იყო. ის არ იყო მყვირალა მოღვაწე.

ის იყო უბრალო, უსწავლელი გლეხი, მაგრამ მისმა შრომით გაპატიოსნებულმა არსებამ ინსტიქტიურათ იგრძნო რისთვის უნდა შეეწირა თავისი თავი. დაარსდა თუ არა ჟურნალი „კვალი“, კლასიონი მისი უერთგულესი მკითხველი შეიქნა. „კვალში“ წერილებსაც კი ათავსებდა დრო გამოშვებით ჩვენი სოფლის უკუღმართ პირობების შესახებ.

მიდის დრო, თანდათან ფეხს იკიდებს პირველი სახალხო მოძრაობა და კლასიონიც თანდათან დგება მოწინავე და შეგნებულ მუშათა შორის.

ბოლოს პოლიციის ყურამდისაც მიდის ყველაფერი ეს და საყვარელ ადამიანსაც ციხით უმასპინძლდებიან. კლასიონს ვერაფერი აშინებს და ის ამის შემდეგაც შეუდრეკელათ ემსახურება თავის ცხოვრების მიზანს. დგება რეაქცია და ისიც იძულებულია გაშორდეს სამშობლო სოფელს და სოხუმში შეუდგეს ლუკმა-პურის ძებნას. ის შავბნელ რეაქციის დროსაც ისევ ძველ კლასიონათ რჩება, მისს რწმენას ვერაფერი არყევს, მას სწამს, რომ მომავალი მშრომელი ხალხისაა და შეუდრეკლათ ემსახურება საყვარელ საქმეს. ის ამავე დროს თავდადებული კულტურული მუშაკიც იყო. პარტია და კულტურული მუშაობა—მისთვის განუყოფელი იყო. ოცი წელია, რაც ს. მათხოჯში კოოპერატივი არსებობს. დღიდან ამ კოოპერატივის დაარსებისა რეაქციის დაწყებამდი კლასიონი ამ დაწესებულების სულსა და გულს შეადგენდა—პირველ ნოქრათ იყო. ეხმარებოდა ბიბლიოთეკებს, სკოლებს და სხვა კულტურულ დაწესებულებებს.

კლასიონი ბათუმის ქარხანაშიც მუშაობდა. აი, აქ ჩაეყარა მისს გონებრივ განვითარებას საძირკველი. ყველასათვის ძვირფასია მისი მოგონება და მეც არ შემიძლია ტკბილათ არ მოვიგონო იგი. მეტსაც ვიტყვით—ის იყო ჩემი პირველი მასწავლებელი, როგორც მოქალაქისა.

აი ასეთი საინტერესო პიროვნება გამოაცალა ჩვენს მშრომელ ხალხს ვიღაც მაწანწალამ და ქვეწარმავალმა.

საუკუნო იყოს შენი ხსენება ძვირფასო ადამიანო და შეუდარებელო საზოგადო მუშაკო.

ვ. მალაქიაშვილი.

ჯარისკაცთა წერილები

პარტიული ქინიანობა.

არაა დიდი ხანი, რაც ფრონტიდან დასასვენებლათ ქალაქ ალექსანდროპოლში ჩამოვედით, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ბევრათ უმჯობესი იყო ფრონტზე ყოფნა, ვიდრე ამ ქალაქში.

ჩამოსვლისთანავე სულ სხვანაირი სუნი გვეცა. აქაური ჯარისკაცები პირველად ზიზღით გვიყურებდენ და ხშირათ საყვედურებს გვაყრიდენ იმის შესახებ, რომ ჩვენს პოლკში „სახლში წასვლის პარტია, ანუ ახალ მოდის „მარქსისტები“ ცოტა იყო. მაგრამ იმედოვნებდენ, რომ მალე თქვენც, როგორც 39 დივიზია, შეიქნებით ჩვენი პარტიის მომხრეო. ყოველ დღე პოლკში უხვად მოჰქონდათ გაზეთები „კავკასკი რაბოჩი“ და „ბრძოლა“ და უფასოდ არიგებდენ ჯარისკაცებში.

ჩვენი პოლკის ჯარისკაცებმაც მალე შეიგნეს „მარქსისტული“ პროგრამა და ორ კვირაში პირდაპირ სოციალიზმის დამყარებაც კი მოინდომეს. მალე ისინიც „სახლის წასვლის პარტიას“ შეუერთდენ და თოფების სახლში წაღების დროშა ააფრიალეს. აქაური ბალშევიკების აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა და დიდ იმედებს ამყარებდენ ჩვენს პოლკებზე, მაგრამ იმათი იმედი მალე გაცრუვდა და „სახლში წასვლის პარტიამ“ თავისი პროგრამის მუხლები სისრულეში მოიყვანა და ბალშევიკები აქვე დასტოვეს.

ჩვენი აქ ჩამოსვლისთანავე აქაურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოგვთხოვა ას კაცზე ერთი კაცის არჩევა, რომელნიც უნდა შესულიყვენ სალდათთა სექციაში. ჩვენს პოლკში არჩევნები მოხდა და არჩევის შემდეგ მივედით აღმასრულებელ კომიტეტში და წარვუდგინეთ ჩვენი მოწმობა. იქ ბალშევიკები მაშინვე შეგვეკითხენ, თუ რომელი პარტიის მომხრე არიან თქვენში მეტიო? ერთმა ამხანაგმა მოახსენა, რომ სოც.-რევ. მეტი ემხრობაო. მაშინ მან ღიმილით მოგვმართა: მალე თქვენ ბალშევიკები გახდებითო. მერე შეგვეკითხა, თუ მენშევიკები რამდენი ხართო. მე წარვუდექი და ერთიც რუსი. ჩვენ ზიზღით შეგვხვდა და შეგვცინა: თქვენ ფრონტზე არავინ გაძლევდა ჩვენს პროგრამას და ამისათვის არაფერი იცითო. ამის შესახებ შესაფერი პასუხი მიიღო ჩემგან.

ჩვენი პოლკის სამი ბალშევიკი გამოდგა, სამი ს.-რევ. და ორი მენშევიკი. საღამოს სხდომაზე ჩვენთვის უნდა მოეცათ აღმასრულებელ კომიტეტში ადგილი, მაგრამ პარტიულმა ქინიანობამ დასძლია და რადგანაც ჩვენ მოვითხოვეთ, რომ ის პირები, რომლებიც არიან არჩეული ჩვენი პოლკიდან, რადგანაც პარტიულათ არ იყო არჩევა, ამისათვის ჩვენ აქ არ გვაქვს ნება დავიჭიროთ პატიული პოზიციაო, რადგან ჩვენმა ამრჩევლებმა არ იციან ჯერ, თუ ჩვენ რომელ პარტიას ვეკუთვნით, ამისათვის ჩვენ უნდა დავრჩეთ გაუყოფელად და ვიმუშაოთ არა პარტიულად, არამედ — შეერთებულად. ამაზე ბალშევიკებმა უარი განაცხადეს და ჩვენი პოლკის ის პირები, რომლებიც იყვენ არჩეულნი არა ბალშევიკებათ, არამედ—როგორც იცნობდენ მას და ენდობოდენ, მოუნდომეს პარტიულათ დაყოფა. ჩვენ ამაზე უარი განვაცხადეთ. კრება დაიხურა და ჩვენც თავთავიანთ ბინაზე წავედით.

მას მერე ერთი კვირა გავიდა და არც ბალშევიკების პარტია და არც „სახლში წასვლის პარტია“ აქ არ დარჩენილა მხოლოდ აქაური ბალშევიკები, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩენ, ძლიერ იმედს აძლევენ გაზეთ „კავკასკი რაბოჩს“ და ამიერ კავკასიის კომისარიატს უპირებენ დამხობას, მაგრამ „სახლში წასვლის პარტია“ სახლში წავიდა და ბალშევიკების ძალაც დაიქსაქსა. დღეს აქ რუსის ჯარისკაცები ცოტა არიან და თუ რომელიმე დარჩა, ისინიც დღეს თუ ხვალ, სოციალიზმის დასამყარებლად რუსეთში მიდიან. ერთმა, აღმასრულებელ კომიტეტში მყოფმა ბალშევიკმა მითხრა, რომ სანამ მოვიდოდეს ჩვენი ამხანაგი არველაძე, რომელიც თფილისშია წასული, „კრაევოი სიეზდზე“, მანამდე მე სახლში ვერ წავალ და მერე კი მოვაწყობ ყველაფერსო. როგორც სჩანს იმათი გადმოცემით, არველაძე უნდა ჩაითვალოს ალექსანდროპოლის ჯარისკაცთა მარქსათ, რომელმაც რამოდენიმე ჯარისკაცები „მოარჯულა“ და სოციალიზმის დასამყარებლად რუსეთში გაუშვა...

მობრუნდებიან მშვიდობით თფილისიდან ბალშევიკები და აქ კი მათი ამრჩევლები აღარ დახვდებათ. უმჯობესია იქიდანვე შეუდგენ სახლში წასვლას და თავიანთი თანამოაზრეების პროგრამის მუხლი შეასრულონ. ასეთია მათი ძალა და მათი თანამოაზრეების ტაქტიც.

საჭიროა ბალშევიკებმა ყურადღება მიაქციონ ამნაირ საკითხებს და ყველა კონტრ-რევოლიუციონერებს ნუ უხსნიან გზას! ძალა ერთობაშია!

გაუმარჯოს ერთობას და ძმობას!

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

საწყალი მუშა.

პროვინცია

სოფ. ჭაგანი. 6 იანვარს გვესტუმრა ქუთ. მაზრის საგამომძიებლო კომისია, რომელსაც გამოეკვლია შემდეგი: ერთ ჯგუფს განზრახვა აქვს ს. ჭაგნის ერთი მესამედი ნაწილიდან, რომელიც მინდორს ეახლოება და ასე უმნიშვნელოა ღანირის საზოგადოების ნაწილით ააშენონ ახალი სოფელი „ჭაგან-ღანირი“. კომისიამ გამოიძია, დაკითხა დასახლებულ სოფლებს, რომლიდანაც ნათლად სჩანს უარის ყოფა სოფლების დაქუცმაცების და დაადგინა: სანამ ერობა შეიტანდეს თავის ცვლილებას მანამდე დარჩეს ის სოფელი თავის ფარგლებში.

რ. ან—შვილი.

სად. ჯულფა. მდგომარეობა უაღრესათ კრიტიკულია. არა გვაქვს პური, მთელი ხალხი შიმშილს განიცდის. ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ ჯარისკაცებს არ აეოხრებიათ აქაურობა. ქვას ქვაზე აღარ სტოვებენ, სძარცვავენ ყველას და რის წაღებაც არ შეუძლიათ, აოხრებენ...

5 იანვარს ჯარისკაცებმა ასტეხეს სროლა, მოჰკლეს ერთი სომეხი მემანქანე, ხალხი დაფრთხა, ამით ისარგებლეს მათ და გასტეხეს წითელი ჯვრის საწყობი, ლაზარეთს ცეცხლი გაუჩინეს. მთელი დღის განმავლობაში ეზიდებოდენ საქონელს. ავათმყოფი ჯარისკაცები ქუჩაში დაჰყარეს. რაც კი იყო საწყობში ყველაფერი გაზიდეს. ეს ალბათ დასაწყისია და გამხეცებული ჯარისკაცები და მათთან ერთათ სხვა ნაძირალები უარესს ჩაიდენენ, ამიტომ საჭიროა დროზე იქნას მიღებული ზომები. შესდგეს ადგილობრივი რაზმი მძარცველებთან და ხულიგნებთან საბრძოლველათ.

ონოფრე ლორია.

აბასთუმანი. მოვიდა თუ არა ახალციხიდან დეპეშა: თათრებმა ალყა შემოარტყა ქალაქსო, ხალხს თავზარი დაეცა დუქნები დაიკეტა, ქუჩაში თავს იყრიან მცხოვრებნი. ნაშუადღევს მოხდა საერთო კრება. გამოირკვა, რომ მთელს აბასთუმანში რაღაც 24 „ვინტოვკა“ ყოფილა. ჯარისკაცები საიმედოთ ვერ იცნეს. ჩამოართვეს რამდენიმე ვინტოვკა, შეაიარაღეს ადგილობრივი რაზმი სანდო პირებისგან და დააყენეს აბასთუმანის შემოსავალთან. ამავე საღამოს ისიდორე რამიშვილი წავიდა სოფელ ვარხანაში, რომელიც 1 ვერსზეა აბასთუმნიდან, რადგანაც ცნობა მოვიდა: მთელი სოფელი შეიარაღებულა და მიდის ახალციხეზე დასაცემათო. გზაში მათ შეხვდა ამ სოფლის მოლა, რომელიც მოდიოდა პოლიტიკურ სანატორიაში ამბის გასაგებათ. მოლამ უთხრა ისიდორეს: ამბავი მოგვივიდა, ახალციხიდან ჯარი მიდის და იარაღს სომხები იგდებენ ხელშიო, ჩვენგნიდანაც მიდიოდა შეიარაღებული ბიჭები ახალციხეში, მაგრამ მე არ გაუშვი, სანამ არ გავიგებდი მართალსო. ისიდორემ აუხსნა, ყველა ეს პროვოკაციაა, უნდათ სომხები და თათრები ერთმანეთს წააჩხუბონო. მოლამ სთხოვა ისიდორეს წაჰყოლოდა სოფელში ხალხთან მოსალაპარაკებლათ, რაზედაც დასთანხმდა ისიდორე.

საღამოს 7—8 საათზე აუარებელი ხალხი იყრის თავს ფოსტასთან. რომ გაიგოს რა ხდება ახალციხეში. ათასი სხვადასხვა ხმები ვრცელდება. ვინ ამბობს აბასთუმანზედაც მოდიან თათრებიო. ზოგი ამტკიცებს ახალციხე უკვე ჩაიგდო თათრებმა ხელშიო. ღამის ცხრა საათი იქნებოდა, ვიღაცამ ორჯერ გაისროლა თოფი, ამან უფრო დააშინა ხალხი.

28 დეკემბერს ისევ დაკეტილია დუქნები. ფოსტის ახლო ბლომათაა ხალხი. ცნობები უფრო სწორი მოდის: თათრები უწესობას არ ახდენენ, ფოსტა გამოუშვეს, თხოულობენ არსენლის ხელში ჩაგდებას. ამავე დღეს შესდგა წესიერების დამცველი კომიტეტი ნოე ხომერიკის თავმჯდომარეობით. ხარჯების დასაფარავათ მოკრიფეს ფული, სავალდებულოა კაცის თავზე მანეთი. ზოგი ხუთ-ათ თუმანს იღებს. თანდათან დამამშვიდებელი ცნობები მოდის. ისიდორე რამიშვილი ახალციხეში წავიდა ლადო ჯიბლაძის და ვახვახიშვილის თანხლებით. საღამოს ცნობა მოდის: მოხდა შერიგება, თათრებმა ალყა მოხსნეს ამან ხალხი დაამშვიდა და ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება.

ქვაჟუდელი.

ს. ჩიბათი (გურია). 17 დეკემბერს მოწვეულ იქნა საჯარო მიტინგი, სადაც ილაპარაკეს მენშევიკების მხრით ამ. კოლია წილოსანმა და ბარნაბე შარაშიძემ. ბალშევიკების ორატორებმაც ილაპარაკეს. კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში რუსეთის პირობებს, მის დღევანდელ მდგომარეობას, რაიცა გამოიწვია ბალშევიკების ავანტიურისტულმა მოქმედებამ, ჩიბათის მრავალ-რიცხოვანი მიტინგი ადგენს სასტიკი პროტესტი გამოუცხადოს იმ ჯგუფს, რომელმაც შეიარაღებული ძალით გარეკა დამფუძნებელი კრება. მხარს უჭერს ამიერ-კავკასიის მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელია ამიერ-კავკასიის მთელი დემოკრატიის წინაშე და შედგენილია ამიერ-კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრის მიერ. მაშასადამე ის სურვილის გამომხატველია მთელი ამიერკავკასიის დემოკრატიის. შემდეგ კრება გადავიდა წითელი გვარდიელების შედგენის და არჩევნების საკითხის განხილვაზე. ჩიბათის რ. ს. დ. მუშ. პარტიის კოლექტივმა წამოაყენა 40 კაცის სია რაზმელებისა, რაიც კრებამ კამათის შემდეგ დაამტკიცა.

ა. მ.

წერ. რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ორიოდე სიტყვით პასუხი გავცე ცრუ კორესპონდენტს ბ-ნ „ჩ“-ს, რომელმაც ცილისწამებით სავსე წერილი მოათავსა გაზეთ „სახალხო საქმე“-ში ჩემს წინააღმდეგ (№ 113). ბ-ნი „ჩ“ ურცხვად ცილს მწამებს, თითქოს ჩემს ბინაზე რაღაც სპეკულიაცია ხდებოდეს, ერბოს შაქარზე სცვლიდენ დ სხვა. დარწმუნებული ვარ ბ ნმა „ჩ“-მ კარგათ იცის, თუ რა გვარი ვაჭრობა სწარმოებს. აქ როგორც კარდანახელები ისე სხვა სოფლელები სანოვაგეს გაღმა იძენენ, ფულზე კი არ სცვლიან სხვა სანოვაგეზე, მაგ. ღვინოზე, არაყზე, ძველ ტანისამოსზე და სხვა. მაშასადამე, თუ ჩემს ბინაზე სანოვაგის გაცვლა გამოცვლა მოხდა, ეს მოხდა აშკარათ, რადგან აქ დასამალი არაფერი იყო, თუ ბ-ნ „ჩ“-ს სურდა სიმართლის დაწერა, რატომ არ გაიგო როცა თათ. დაინახა ჩემს ბინაზე გაეგო რა წაიღეს და პირობებში? მაგრამ სიცრუესთვის რომ უფრო მეტი ფასი მიეცა და სიმართლეთ გაესაღებია მოიგონა თითქოს თათრებს. შაქარი მივეცი. ბ-ნ „ჩ“-ს მხოლოდ ერთი შემიძლია ვუთხრა, რომ ის არის ცილის მწამებელი და ცრუ კორესპონდენტი, რაც შემდეგში სახეში უნდა ქონდეს „სახალხო საქმე“ს.

ნინა გოგოლაშვილისა.

ფ. კ. და ფ. ა. ბეინმა
განაახლეს აფთიაქთან

ნახველის, შარდის და განავალის გამოსაკვლევად მიღება.

მისამართი: ერევნის მოედანი, ქალაქის სახლი. ტელეფონი № 5.

1—1

მოქალაქენო!

შეკავშირდით ბინის ორგანიზაციებში და ამოირჩიეთ ბინის კომიტეტები.

მძიმე და აუტანელმა დრომ, რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით და რომელმაც გამოიწვია ტრანსპორტის მოშლა და ზოგ ადგილას კი მისი სრულიად შეწყვეტა,—უმწვერვალესად გაამწვავა სასურსათო საკითხი. ამ გაჭირვების ცოტათი შესამსუბუქებლათ და პროდუქტების დროზე მიღების მოსაწყობათ აუცილებელია თვითეულ რაიონის მოქალაქეთა თვითმოქმედება, ამისთვის უკანასკნელისათვის კი საჭიროა მოქალაქეთა ბინის ორგანიზაციებში შეკავშირება.

პროდუქტების მიღებაში დაურწმუნებლობა (ყველაზე უფრო კი პურის) და უსურსათოდ დარჩენის შიში მოქალაქეს იძულებულს ყოფს მთელი საათები იდგეს გრძელ რიგებში დუქნის გახსნამდი. ამ კუდების ბოლოს მოსაღებათ კი აუცილებლათ საჭიროა მოქალაქეთა ბინის ორგანიზაციებში შეკავშირება.

რიგებში დგომით უსაფუძვლოთ დროს კარგვა და გულსაკლავი ლოდინი საზიანოა არა მარტო კერძო პირისათვის და ოჯახისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. და აი ვისაც სურვილი აქვს ებრძოლოს ამ ბოროტებას, მან უნდა გასწიოს აგიტაცია და ხელი შეუწყოს მოქალაქეთა დაჩქარებით ბინის ორგანიზაციებში შეკავშირებას.

სხვა ქალაქებში მოწყობილმა ასეთმა ორგანიზაციებმა გამოიღეს ნაყოფი და ბოლო მოუღეს შეუწყვეტელ გრძელ კუდებს და სასურსათო ბარათებით ბოროტმოქმედებას. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ გაკვეთილით და რაც შეიძლება დაჩქარებით შევკავშირდეთ **ბინის ორგანიზაციებში.**

ბინის ორგანიზაციების მიზნები და სამოქმედო ასპარეზი ფრიად ფართეა და შესაფერ გზას უხსნის თვითოეულ მოქალაქის თვითმოქმედებას და ინიციატივას. იჩქარეთ გაეცნოთ მას და მოითხოვეთ უფასოთ ბინის ორგანიზაციების წესდების პროექტი და ინსტრუქციები თუ როგორ უნდა შეკავშირდეთ ბინის ორგანიზაციებში.

ვინც სარგებლობს გრძელი კუდებით, მოქალაქეთა გაბოროტებით და აღშფოთებით და სასურსათო ბარათების ბოროტმოქმედებით ის იქნება მხოლოდ ბინის ორგანიზაციების წინააღმდეგი. მოქალაქენო! ნუ მიაქცევთ მათ ყურადღებას და დაუყოვნებლივ შეუდექით **ბინის ორგანიზაციებში შეკავშირებას.**

ბინის ორგანიზაციების წესდების პროექტი, დაბეჭდილი ინსტრუქციები და ყოველივე ახსნა-განმარტების უფასოთ მიღება შეიძლება უბნის საბარათო ბიუროებში დილის 9 საათიდან 1 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

შეკავშირდით ბინის ორგანიზაციებში და ამოირჩიეთ ბინის კომიტეტები.

(2—1) **თფილისის ქალაქის გამგეობა.**

თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან.

ამით ვაცხადებთ ყველას საყურადღებოთ, რომ ქ. თფილისზე მიწერილ ყოველივე თამბაქოს ნაწარმოების მიღება და მისი კოოპერატივების თუ კერძო დუქნების საშუალებით ხალხში გავრცელება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ქ. თფილისის კოოპერატივთა კავშირს და აგრეთვე თამბაქოთი მოვაჭრეთა კავშირს თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისგან მიცემულ საგანგებო ორდერის საშუალებით. ხოლო თამბაქოს ის ნაწარმოები, რომელიც მიწერილია თფილისის გუბერნიაზე, გადადის ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის განკარგულებაში და ეს უკანასკნელი ავრცელებს მას კოოპერატივების საშუალებით მცხოვრებთა შორის.

ამ განცხადების გამოქვეყნების რიცხვიდან გუნერნიის სასურსათო კომიტეტიდან არავის მიეცემა პაპიროსის და თამბაქოს შეძენის ნებართვა ზემოხსენებულ წესის გარეშე.

3—3 **თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.**

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეთოთხმეტე

„ნაკადული“

წელიწადი მეთოთხმეტე

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით

საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა— 12 მან. ნახევარი, წლით— 7 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის—7 მან. მოზრდილთათვის—7 მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

ხელის მოწერა მიიღება

თფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(3—3). გამომცემელი **პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

ქართული უნივერსიტეტი
თფილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში

ამ თავითვე იქმნება სიბრძნის მეტყველების ჰუმანიურ მეცნიერებათა განყოფილება. ლექციები იქნება **საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საპედაგოგიო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან.**

სტუდენტებათ მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), რეალური, საკომერციო, საეპარქიო და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლები, საოსტატო ინსტიტუტი და სემინარია, კადეტთა კორპუსი და სხვ.) კურს-დამთავრებულნი.

სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა იყო მთხოვნელის მისამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ და 3) მეტრიკული მოწმობა (ვაჟთათვის). მსმენელთათვის საჭიროა მხოლოდ თხოვნა.

სწავლის ფასი სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) სტუდენტებისა და მსმენელთათვის ათი თუმანი. იმ მსმენელთათვის კი, რომელთაც მხოლოდ ერთისა ან ორი საგნის მოსმენა სურთ,—ხუთი თუმანი. ფული ჩაწერისთანავე უნდა იყოს შემოტანილი.

ჩაწერა იოსებ ყიფშიძესთან, ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქართული გიმნაზიის შენობა) 12 ს.—2 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა.

ფოსტის ადრესი: въ канцелярію Грузинскаго Университета. Тифлис, зданіе Грузинской гимназіи.

ქართული უნივერსიტეტის დრ. გამგეობის წევრნი: **პ. მელიქიშვილი.**

(15—12) **ივ. ჯავახიშვილი.**

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.